

გ ე ქ ს ე ბ ი



ყველასთვის,

სადაცაა გული

დავით ხუციანბერი

ღ ე ქ ს ე ბ ი

ყველა

ფიქრი

სეველად

მექსა

შპს „დეგაპრინტი“
თბილისი 2017
დავით კუჭუხიძე

რედაქტორი: მაყვალა გერმანოზაშვილი
დიზაინი / ილუსტრაციები: გვანცა სანიკიძე
დაკაბადონება: ნიკოლოზ მეგრელიშვილი

დაიბეჭდა შპს „დეგაპრინტში“
მის.: თბილისი, ვირსალაძის №8
ტელ.: +995 032 299 50 07
ელ-ფოსტა: Degaprint@gmail.com

ISBN 978-9941-0-9776-8

წინასიტყვაობა

ვფიქრობ, ცხოვრებაც სევდიანია და ალბათ ჩემს ლექსებში მრავლად გამოიხატება იგი. არ მინდა მკითხველმა იფიქროს, რომ



სასოწარკვეთილებას ვარ მიცემული, მაგრამ ცხოვრება ხომ ასეთია. სიყვარულის ლექსებშიც კი სადღაც გამოიკვეთება სევდიანი ჟანრი.

დიდი პატივისცემით ვეპყრობი დღევანდელობას, წინ მიდის ცხოვრება. მივისწრაფით უკეთესი ცხოვრებისაკენ, მაგრამ ჩვენი ძირ-ძველი ფესვები დავიწყებას არ უნდა მივცეთ. თუნდაც უბრალოდ დაწყებული სტუმართ-მასპინძლობა, მაინც ქართულად, გამართული სადღეგრძელოთი და მრავალჟამიერთ მთავრდება ჩვენში, ეს დასტურია იმისა რომ, თითოეულ ქართველში წინაპრების სიამაყეა გამჯდარი.

ჩემთვის საოცარია, როდესაც საქართველოს დიდი მეფეების, აღმშენებლობასა და გამარჯვებას ვკითხულობ თუ ვეცნობი, აი აქ კი მართლაც ყველა ფიქრი სევდად მექცევა ხოლმე, სასიხარულოდ და ფიქრში ვხედავ მათ დიდებულ და გაბრწყინებულ გვირგვინებს, როგორ წმინდად და სუფთად მოიტანეს ჩვენამდე, ჩვენი სამშობლოს, „საქართველოს“ სახელი და დიდება. აქ მინდა მოვიშველიო ლექსიდან „კარიბჭე“ ორიოდ სიტყვა.

**„არ დაივიწყო მომავალი ენა ქართული
მუდამ გახსოვდეს რომ შენა ხარ შთამომავალი“**

თქვენი მორჩილი
დავით კუჭუხიძე



ერთი ხარ, ერთი

საქართველოა სახელი შენი,
შენ წილად გერგო ქართველი ერი,
ღვთისმშობლის წილი, სახელი შენი
დიდ ლოცვაშია ერი, თუ ბერი...

წმინდა ნინომაც შეგახო ხელი
და მან მონათლა, ქართველი ერი,
ამ სამყაროში ერთი ხარ, ერთი
სადაც ღმერთია მფარველი ჩვენი...

საოცრებაა- ბუნება, მთები!
გასაოცარი ლურჯი ცის ფერი!
გაბრწყინებული გვირგვინი შენი,
შენით ამაყობს მრავალი ერი...

ენა ქართული

ენა ქართული, ქვეყნად განთქმული!
ამ სამყაროში გამორჩეული!
ოქროს ძაფებით ამოქარგული!
ჩემო მიწავ და ჩემო მამული!

ქართული სიტყვა ვისაც უთქვია,
თავის სამშობლო დაულოცია...
მამულისათვის რომ უბრძოლია,
მისი სახელი წარუშლელია!

ქართული ჰანგო! დედის ნანაო!
ქართველი ერის ტკბილო აკვანო!
წმინდა მამების საგალობლო!
ძლიერ - მართალო, უკვდავებაო!

ქართული სიტყვა ბევრის მთქმელია!
ბევრჯერ დაჭრილიც მოურჩენია!
ჩემი სამშობლოს ენა ბრძენია,
ამ ქვეყანაზე ერთად-ერთია!!!

ქართული

ლერწამის კალმით დაწერილო, ენა, ქართულო!
გმირების ხმალით შენახულო, ტკბილო სამშობლო!
ცხენის ფლოქვებით დამტვერილო, ჩემო მამულო!
სალი კლდეებზე გადმომდგარო კვამლის კოშკებო!

ქართულო ხმალო, ვაჟკაცისგან ხელით ნაჭედო!
მეომრის მხრებზე მოდებულო - ჯაჭვის პერანგო!
ფაფარაშლილი ცხენზე მჯდარო, ამხედრებულო!
მტერთან ნაბრძოლო, ქვეყნისათვის გულით ქართველო!

დიდი ღმერთისგან ნაკურთხია ერი - ქართველი,
ყველა ბრძოლიდან გამარჯვებით დაბრუნებული,
ციხე-სიმაგრის კარიბჭეზე გამაგრებული -
მემატიანეს შენახული ენა ქართული!

აღმაშენებლის საქართველოა განდიდებული,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული,
ერის საუნჯე, ოქროს - საწმისი შეუხებელი...
თამარ დედოფლის ლაშქარია ხმალი - აღებული!

მეფე დავითი, მეფედ-მეფე ქალი თამარი!
ფარნავაზისგან მირონცხებული მათი სახელი!
ვეფხის ტყავზეა ამოქარგული შოთას კალამი!
სამშობლოს გულში დარჩეულა ოქროს აკვანი!

ასე ომობდნენ სამშობლოსთვის თავდადებულნი,
ანდერძს ტოვებდნენ ერისათვის გულანთებულნი,
არ დაივიწყო, მომავალო, ენა ქართული!
მუდამ გახსოვდეს, რომ შენახარ შთამომავალი!!!



ქარადიულო

სამშობლოს მზეო, მთებო და ზღვებო,
გადაჭიმულო ქართლის ქედებო,
სამხრეთ-ჯავახეთს მწვანე ველებო,
კოლხეთის დაბლობს მუხის ტყეებო,

აღელვებულო ზღვაში ტალღებო,
კლდიდან ვარდნილო მდინარეებო,
აგორებულო თოვლის ზვავებო,
თვალუწვდენელო, მთების წვერებო,

წინაპრებისგან, ფეხით ნაცვეთო,
მიწავ ქართულო! ბარაქიანო,
ამ დიდებაში ქარაგმიანო,
მადლ შეწირულო, მარადიულო,

ვაზის ფესვებით გადარჩენილო,
გულუხვ მდიდარო შემართებულო,
ამღერებულო ზვარად ქცეულო,
სიტყვა გულიდან ამოხეთქილო,



ღვინოდ ნაწურო, ყურძნის მტევნებო,
სადღეგრძელოში მართლად აღთქმულო,
სტუმართ-მოყვარის დამპურებელო,
გადამთიელის ლაშქრით დამხვდურო,

მტერ გამოვლილო, გამარჯვებულო,
შენი ხმალითვე სისხლით მორწყულო,
ათასწლოვანო, ქვეყნის მახვილო,
საუკუნეებს გადარჩენილო!!!



საქართველო

შენ ღირსი ხარ, საქართველო!
დიდხანს დიდხანს რომ იხარო!
ცაში დროშა აფრიალო,
და შენს მტერზე გაიმარჯვო!

ურჯულოებს გადაურჩი,
არც ერთ ბრძოლას არ ჩამორჩი,
ყველა ტკივილს ეჩვეოდი,
ღალატობას უჩიოდი...

მოღალატე ბევრი გყავდა,
თვით ქართველი გღალატობდა,
ლაჩარს სისხლი გაუცივდა,
ზურგში მტერი შემოჰყავდა...

თურმე ზრდიდი, როგორც შვილი,
ქართველობას ასწავლიდი,
შენს უბეში გამოზრდილი
მტერს შეეკრა, როგორც მისი.



აეყაროს მოღალატეს -
ჯიში, რჯული მიკუთვნილი!
მას სამშობლო არ ენახოს!
სხვის მიწაზე განისვენოს!

შენ, წმინდა ხარ საქართველო!
ქედ მაღალო და მართალო!
ერი გლოცავს, საყვარელო!
ღირსეულო, საქართველო!!!


აფხაზეთი

დიდი ხნის უკან, ნაიარევი,
ჯერ არ შეხორცდა აფხაზეთისთვის...
ამ ქვეყანას რომ მშვიდობა ჰქონდეს,
არ იქნებოდა ის გახლეჩილი...


მტერი აქვე გვყავს, გამაგრებული,
მას უნდა დავხვდეთ ხმალ აღებული!
არ შევარცხვინოთ ჩვენი სახელი,
დაე, ავლაგმოთ მათი საქმენი!

გმირების სისხლი ბევრი დაღვარეს,
მიწა-წყლის ბრძოლა აქ რომ გამართეს,
რამდენი დედა მათ აატირეს ?!
რამდენი ბავშვი ობლად დატოვეს!

უბრალოდ, მძევლად რომ დაგიტოვეს,
ცოცხალს გული ვერ ამოგაცალეს,
დაგჭრეს, გესროლეს, გაგანადგურეს,
უარი ჩვენზე ვერ გათქმევიანეს...



ისევ აღსდგები, გულში დაჭრილო!
არ მიგატოვებთ, ნაიარევო!
დიდო ზღვის პირო მხარეო ჩვენო!
სიცოცხლის დედავ, შენ აფხაზეთო!!!



სამშობლოს

შენ სამშობლო, გენაცვალოს ჩემი გულის სიდიდე,
შენს უბეში დავიბადე, ფრთებ გაშლილო იდიდე,
შენი სუნთქვა ყველგან მესმის, ჩემო სულის სიმშვიდე,
წუთით ვერსად მიგატოვე, დალოცვილო სიწმინდე!

როგორ დავთმო მე ეს ზეცა, ანდა ეს სილამაზე,
აქ ხომ, ღამეც მზე ამოდის ამ დალოცვილ მიწაზე,
ჰაერს, წყალს და მიწის სურნელს, ეს დიდება არგუნე,
ჩემს სამშობლოს მე ვერ გავცვლი, უკვდავების წყაროზე!





ამ წუთს, სუნთქვა ბოლო მქონდეს, ჩემი გული კვნესოდეს,
ჩემო მიწავ შენ დიდება, შენს დამცველად ვკვდებოდე,
ამას რწმენით მე ვლოცულობ, ჩემს სამშობლოს წინაშე,
ერთ გოჯს, ვერა ვერსად დავთმობ! თუნდაც ცეცხლში ვიწვოდე!

მზე, ჩვენი ქვეყნისა

იყო, არის და იქნება,
მზე, ჩვენი დიდი ქვეყნისა,
ვერ დააბნელებს ვერცა რა-
თუნდაც ისარი მტერისა,

მოჭიმულ ისრებს დაამსხვრევს,
ძალა ამ ჩვენი ქვეყნისა,
ვერ გაილაშქრებს ჩვენზედა-
შური, ბინძური შუღლისა,

რწმენა! ენა და ეს მიწა!
არის ღირსება ერისა!
სამარადჟამოდ იქნება!
სიტყვა ქართველი კაცისა!!!



ს ა გ ა ნ ე თ ი

სამშობლოს ირგვლივ განთიადია ,
თავაწეული მთები არტყია ,
სამშობლოს გმირი გამოუზრდია ,
რამდენი ბრძოლა გამოუვლია ?!

მეფე დავითის დალოცვილია ,
თამარ დედოფლის სიამაყეა ,
ქართველ გმირების საბუდარია ,
წინაპრებისგან შენახულია ...

სამშობლო - ერის სიამაყეა ,
თავის წარსულთ ის განთქმულია ,
დიდთა მეფეთა სავანეთია ,
მისი სახელი ხომ უკვდავია !



დიდება

როგორ მინდა ფიქრად ვიქცე ,
მოდუდუნე მტკვარზე !
სვეტიცხოველს მოვეფერო -
მტკვარ-არაგვის შესართავზე !

სადაც მეფენს გაუვლიათ ,
მუხლმოდრეკით ულოციათ ,
და ბარძიმი შეუსვიათ ,
აღსარება აღუთქვიათ ...

გული ცხელი , ქართველისა ,
ძველი ხმალი მებრძოლისა ,
ქამარ-ხანჯალ ვაჟკაცისა ,
ციხე-კოშკი არმაზისა !

სამთავრო და მთაზე ჯვარი ,
ირგვლივ წმინდა სალოცავი ...
სამშობლოსთვის განწირული ,
ჩვენი დიდი წინაპარი ...



ყველა ფიქრი სევდად მექცა-
იმ წარსულის დიდებისა ,
ჩვენი წყალი ჩვენი მიწა-
მცხეთის გულში დალოცვილა !

დავითის ვა

განდიდებული ცხოვრობდი დავით ,
უკვდავი მეფის გვირგვინის მადლით ,
დიდთა მეფეთა , საგალობლებით ,
შენი სამშობლოს , ულავი რწმენით...

ერთობ , ქართველთა გვირგვინოსანი ,
ძლიერი ქვეყნის , აღმშენებელი ,
ერის ! ერთგული შემომკრებელი ,
წმინდა გელათის დამფუძვნებელი ,

გელათს , ამშვენებს კარიბჭის გზები ,
ტაძარს , სამრეკლოს წმინდა ზარები ,
შენს საფლავს კიდევ , სიტყვები შენი ,
„ გულზე დამადგით ! ქართველნო ფეხი “

დაე , აღსრულდეს ანდერძი შენი -
და გაგიმრავლდეს ქართველი ერი ,
აღარ ჰყოლოდეს სამშობლოს მტერი ,
ასე გაბრწყინდეს დიდება თქვენი !!!

ვაშაჭყეზა „1121 წელი“

დიდგორს დაედო ყაყაჩოს ფერი ,
ბრძოლას დაეტყო დავითის ხელი ,
ცხენზე ამხედრდა ერი , და ბერი ,
ესე განგმირეს მომხდური მტერი ...

ყველა ტამარში გუგუნებს ზარი !
ქართველ ვაჟკაცით აივსო ჯარი ,
თავზე დაიდგეს რკინის აბჯარი ,
საბრძოლო ველზე ასწიეს ხმალი ...

ბრძოლას წინ უძღვის მეფე-მართალი !
კაცი , მებრძოლი , მთავარ-სარდალი !
სულით ძლიერი , დიდი ქართველი !
მისი ქვეყნისთვის გულით დამცველი !

ამაღლებული დიდგორის ველი ,
ცას აწვდენილი დროშა , ქართული ,
„ბრძოლას ეწოდა ეს საკვირველი -
ძლევია სულით მოპოვებული !“

სისხლით მოირწყო ირგვლივ ყოველი ,
შუბით , მახვილით გაჟლიტეს მტერი ...
დაფრთხნენ ვერაგნი , ურჯულოები ,
დამარცხებული სამშობლოს მტრები ...

„ ე ძ ღ ნ ე ბ ა “

(1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლას)

მეფე ქართველთა

იდგა მეფე, საქართველოს,
მოვერცხლილი ქარქაშ-ხმლითა,
თავთ ეხურა მარგალიტის -
გვირგვინ ოქროთ ნაჭედითა.

გაჰყურებდა შორს მხედველი,
ჯარსა მისსა ველ-გაშლილსა,
გამარჯვების დიდებითა -
ამაყობდა ქართველითა,

გვერდით ჰყავდა მას მორჩილი -
შავი ცხენი ლაგამითა -
ვერცხლის თვლებით მოჭედული -
უნაგირი შვლის ტყავისა

ველზე, ნაზირ-ვეზირისა,
ზარბაზნების გრუხუნისა,
მომხდურ ფეხქვეშ ნაფენისა,
გამარჯვება დიდ მეფისა !!!

ერთად - ერთს

გვირგვინს გიმშვენებს ზურმუხტი , ლალი ,
გულ-მკერდზე კიდევ ნაკუთხი ჯვარი ,
ტანთ შემოსილი ოქროს ძაფები
და საოცარი ძვირფასი თვლები !

თქვენს სილამაზეს , ვერ სწვდება თვალი ,
და ვერცა მზერა , დაუღალავი ,
მეფის სახელი უკვდავი , დიდი ,
ამ ქვეყანაზე მშვიდობას ღვრიდი !

სადაც შეჩერდი, ტაძრებს აგებდი ,
ქრისტიანობას რომ ადიდებდი ,
შენი სახელით ნაგები ხიდი -
ყველა მდინარეს ამშვენებს იგი !

ქალი თამარი , სხვაგან სად არი ?!
ამ სილამაზით კალმით ნახატი ?!
შენს სახელს ბევრი ატარებს ქალი ,
როცა დატოვე უკვდავი ხატი !!!

იქნებ შეჩერდე

გვირგვინოსანო , დედოფალო , ულამაზესო !
დამშვენებულო , თვალწარმტაცო თავაწეულო !
მართლაც , განთქმულო სილამაზით , სიამაყეო !
დედის შობილო , ყველასათვის უძვირფასესო !

მზე გემალება , შენ სილამაზით დამშვენებულო !
ტყე არ შრიალებს , როცა იღიმი , შენ ბედნიერო !
წყარო ჩერდება , რომ გიყუროს , უსაყვარლესო !
ვარდი ვერ ყვავის შიშისაგან , რომ არ დაჩრდილო !

იქნებ შეჩერდე ! ცოტა ხანი , იქნებ დაგხატო !
ამ სასწაულში სახსოვარი რომ დამიტოვო ...
შენს სილამაზეს თაყვანი ვცე , თავი დავხარო ,
ნება მომეცი , სიყვარულით რომ გეამბორო !!!




კახეთი

არსად არ არის ქვეყნად ასეთი ,
მხარე ლამაზი, ჩემი კახეთი !
გადაჭიმული ალაზნის ველი
და სიამაყე ალავერდელი ...

მტერმა ვერაგმა , ვერ გახლო ხელი ,
ვერ აამტვერა შენი კალთები ,
შენ , მთლიანი ხარ , შეუხებელი ,
გაუტეხელი , როგორც მახვილი .

აქ დაიბადა მხედართ-მთავარი -
მეფე ერეკლე და მეომარი ...
როცა უბოძეს მეფის გვირგვინი ,
წელში გაწყვიტა მტერი წყეული...

კახეთის გულზე ბოდბე , გრემია ,
ალაზნის პირზე ალავერდია ,
ერეკლეს გული ! აქ ასვენია ,
ასე ძლიერი , ეს კახეთია !




სიშვიდე

სათნობის ვარდი ვკრიფე ,
უკვდავების წყალში ვაწყვე ,
სამოთხის ვაშლს , ხელთ შევებე ,
სული ისე დავიმშვიდე ,


ტამარს უმალ მივეშურე ,
წმინდა ლოცვა აღვავლინე ,
როცა სანთელი დავანთე ,
ქადაგება მოვისმინე ,

ზარების ხმას ყური ვუგდე ,
სარკმლის სუნზე განვიწმინდე ,
უფალს შველა როცა ვთხოვე ,
სინანულით ხატს შევებე ,

ჯვარცმას თავი დავუხარე ,
ბარძიმს ტუჩით თან შევებე ,
პირჯვარი რომ დავიწერე ,
აღასარება ჩავაბარე ,



უფლის გზაზე გავიარე ,
გულით სიყვარული ვყარე ,
ცხოვრების გზა დავინახე ,
სულს სიმშვიდე მოვუპოვე .



მეგობრის ხიდი

თბილისო ! ჩემო დედაქალაქო !
რომელ ენაზე გელაპარაკო ?!
ყველა ენაზე რომ გეთაყვანო ,
ყველას გაიგებ უსაყვარლესო ...

ასი ათასი მოწამის სისხლო !
ქრისტიანობის დამცველო დიდო !
თბილისო ! თბილო დედაქალაქო !
დიდი გორგასლის ჩამომავლო !

ნარიყალას და მეტეხის ხიდო !
მამა დავითის ტაძარო , მშვიდო !
მტკვარო ! მდიდარო , არაგვის წყლითო !
ჩემო თბილისო ! დიდი გაქვს სითბო !!!

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა
ასი ათასი მოწამის სულს

ჩემი ჭაბარი

ზარების ხმაში აბგერდა გული
და დიდ ტაძარში დამშვიდდა სული ,
წმინდა ხატებთან , სანთლით კანდელთან
დაე , ამევსოს დაღლილი გული !

ტაძარში შესვლა და დიდი რწმენა ,
ხატებთან დგომა და დიდი ლოცვა ,
უფლის წინ შფოთვა , მშვიდობის თხოვნა ,
გალობის სმენა , პირჯვარის წერა ...

რწმენა - გონებით სულის ცხონებით ,
ამქვეყნიური ლოცვა - დროებით ,
წუთისოფელში მოსვლა - ცხოვრებით
და სინანული ჩვენი ცოდვებით .

ფერიცვალობა

დიდებული საუკუნე -
ჩვენი ღმერთის დიდი რწმენა ,
მახსოვს , როგორ დავიფიცე
ჩემი გულის დიდი გრძნობა .

დიდ ლოცვაში , დიდ ტაძარში ,
დიდი სანთლით ხელში ყოფნა ,
ჩვენი ღმერთის სიყვარულში
ვედრება და დიდი ნდობა .

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა
ფერიცვალობის დღესასწაულს

წყალო, უკვდავეზაო

ღმერთისგან დალოცვილი ხარ ,
უფლისგან წმინდად ნაკურთხი ,
ხან მთიდან მორაკრაკე ხარ ,
დიდ ზღვაში აღელვებული ...

მდინარე , დიდად მეფური ,
ტბაში თევზების მსახური ...
ზეციდან როცა მოქრიხარ ,
სიცოცხლის მახარობელი ...

სიმბოლოება - სიმაგრის ,
განუყოფელი - ბუნების ,
როცა წყურვილი გინატრებს ,
გულზე ედები მხურვალეს .

წყალო , ცხოვრების მშობელო !
სულიერების გამჩენო !
ამ ქვეყანაზე ძლიერო ,
სიცოცხლის გადამრჩენელო !!!



სუფთა რომ უჭირდა

ჩემთვის სიმშვიდე რომ მდომებია ,
სიმშვიდე მაინც ვერ მიპოვია ...
ყველა სალოცავს რომ მითხოვია ,
ამ ქვეყანაზე მიმათხოვრია ...

ჩემი თხოვნა ხატს შეუსმენია ,
ხატის წინ მუხლზე დამიჩოქია ...
ცრემლები თვალზე არ შემშრობია ,
სიხარული ხომ ჩემთვის ბევრია !

ხატთან მუხლებზე ჩამძინებია ,
სიზმარში დედა დამსიზმრებია ...
მისი კალთა რომ დამფარებია ,
მარტო რომ არ ვარ , სულსაც უგრძობია !

ს ე ს ა ს

ცრემლები დედის ჩამოდენილი ,
სიცოცხლის კვალის დამტოვებელი ,
წმინდა თვალებში გამოჩენილი ,
მარგალიტებად ჩამოცვენილი ,

ამ ცრემლებშია , ლოცვა ძლიერი ,
იავნანა და საგალობელი ,
დედის გულშია ის დაღვენთილი ,
დიდი სიცოცხლის სავედრებელი ,

მკერდით , გაზრდილის მიმტევებელი ,
გულში ჩაკრულის დამშვიდებელი ,
წმინდა ლოცვების აღმსრულებელი ,
დედის სახელის გამბრწყინებელი ...

მხატვრულ ერთს

რამდენმა ქარმა გადაიარა ?!

ცხოვრებამ გულზე გადაგიარა !

ენით გესროდნენ , სული გტკიოდა ,

მაგრამ მფარველი არსად ჩნდებოდა ...

ცილის წამებით არ იღლებოდნენ ,

მტერი-მოყვარე არ მოგერიდნენ ,

ტყუილ-მართალით ტალახს გესროდნენ ,

თვალზე ცრემლები არ გშორდებოდნენ ...

სიტყვით შეგრაცხეს , გაგანადგურეს ,

სიცოცხლის გული ამოგაცალეს ,

ცის ქვეშ დარჩენილს არ შეგიბრალეს -

შენი წამება ისევ განაგრძეს ...

ღვთის ანაბარად , მარტოდ დარჩენილს ,

ისევ ხედავდი სინათლის სანთელს ,

ცხოვრების გზაზე მოფენილ ეკლებს ,

ფიქრში ხედავდი ესოდენ ვარდებს ,

უფლისთვის დრო ხომ არაფერია !
ამ ტკივილების ის მფარველია !
ნუგეშის პოვნა მას შეუძლია !
შენი ცხოვრება უფლის ხელშია !

ხეებს ცვიოდა ფოთლები - ძველი ,
შენ ღმერთს მიანდე ცხოვრება შენი ,
ამომავალი მზის სხივის ფერი ,
ისევ ნათდება ცხოვრება გრძელი ...

ომის ქარიშხალს გადარჩენილი ,
სამშობლოსაგან ხოტბა შესხმული !
რამდენი ტანჯვის შენ ხარ მნახველი ?!
„ ვახტანგ გორგასლის “ ორდენოსანი !!!

„ ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა “
ლიანა ოდიშვილს




გ პ ი ა ნ ი

ომიდან დაბრუნებულო ,
ცხოვრებით გაორებულო ,
თოფის ხმით გაბრუებულო ,
ჭრილობით შეხორცებულო !

შინ გელოდება ცოლ-შვილი ,
აკვანში , შვილი ჩაკრული ,
დედა კარიდან მყურალი -
ჩამქრალ ბუხართან მჯდომარი .

დიდხანს გელოდა ტოლები ,
თვალცრემლიანი ოჯახი ,
ცოტა ხანიც და შეხვდები -
ბრუნდები გამარჯვებული ...

გმირის სახელი თან მოგაქვს ,
მოგონებები ბევრი გაქვს ,
ჯილდო - ვარსკვლავი გულზე გაქვს ,
სახელი შენი თან დაგაქვს ...



ჩემი წყნობა

წმინდა კალამო, მელნის ფერო შეუბღალავო !

დიდი მგოსნების, იარაღო და ნაფერებო !

ბევრჯერ , მტვისაგან დაფარულო არ დაკარგულო !

ზოგჯერ თბილო და ზოგჯერ კიდეც სულ გაყინულო ...

ხანაც გასროლილ ტყვიას სჯობიხარ, ცოტა მწარეო !

სიმართლის ძეხნით როგორ ამაყოზ , სიამაყეო,

ყოველი სიტყვა შენით შექმნილა უკვდავ კალამო !

სანთლის შუქიც კი ვერ გაშინებს , ბევრის მნახველო ...

შენი ძალები უსაზღვროა , მელნის ფერებო ,

რამდენი ლექსი შენით ამღერდა სათნოებაო ...

სულის კარების დარაჯი ხარ , უკვდავებაო ,

ისევ დაწერე , ტკბილი სიტყვა , ჩემო კალამო !!!


ყაღიონი

ნაკვერჩხალზე ანთებული-
მწერლის მუხის ყალიონი ,
ჩაფიქრებულს მოქაჩული-
კვამლში თეთრად გახვეული ,


ფიქრში , მკაცრად ჩარეული ,
ხან კალმებთან არეული ,
დიდ ლექსებთან მეგობრული ,
ლამფის შუქზე გაბნეული ,

მისით მუზა მოვლენილი ,
ზოგჯერ ტუჩთან შერჩენილი ,
ნაცრის ფერფლად ავსებული ,
ხელში მაგრად ჩაჭიდული ,

საიდუმლოს შემნახველი ,
ხან ცრემლებით დანამული ,
ყველა ფურცლის ნაფერები ,
დიდი ქების მოყვარული .



წიგნის სუნით გაჟღენთილი ,
მწერლის დარდის განმფანტველი ,
უბის ჯიბეს მორგებული ,
სასათუმალთან დადებული .



პატყა ეკლი

დაღონებული გალობს ბულბული ,
დიდხანს დაღლილი , გამომწყვდეული ,
ფიქრობს : გაიღოს ის ცხრაკლიტული
ფრთები გაშალოს ჩამოშვებული ...

იგრძნოს ბუნებამ მისი ჩურჩული
და გაიხაროს დაღლილი გული ,
ბედმა არგუნა მას სიხარული ,
უკვე დამთავრდა დრო შელახული ...

რა დიდხანს იყო მარტო , ეული ,
მარტობისგან შეშინებული !
ახლა იხსნება მისთვის ცის კარი ,
ფრთები ეშლება , ძირს დაშვებული ...

ცაში ფრენისგან მონატრებული ,
სამყაროს შიშით ჩაფიქრებული ,
მარტო სულია , გაორებული ,
ცხოვრებას თითქოს დაშორებული !

მ ა რ ც თ ა ნ ა უ ი

გაშლილ ველებზე ამოსულიყო მუხა , ობოლი ,
მოსაუბრეც კი არსად ყავდა , იყო ეული ...
გაზაფხულის ხანს ელოდებოდა მას სიხარული ,
მწყემსებს ელოდა , მარტოობით დაღონებული .

დიდი ფესვებით გადაშლილი იყო ძლიერი ,
დატოტვილიყო სიძლიერით , ბევრად რჩეული ,
ეს საუკუნე მისთვის იყო წუთი ყოველი ,
არა და მასში იგრძნობოდა დარდი სნეული ...

არ ეტყობოდა სიბერისგან მას დიდი წლები ,
იდგა ძლიერად , ხანდაზმული , ის დალოცვილი ...
ბევრის მნახველი , ბევრი მწყემსის დამმშვიდებელი ,
იყო ეულად - გაზაფხულის ის მოლოდინში ...


ვაზის ფესვებო

ვაზო ! ნაქებო და დაგრეხილო !
მზისფერ ფოთლებით ველს გადაშლილო ,
ოქროს მტევნებით წელ-განაჭულო ,
მოხუც კაცივით , ჯოხს დაყრდნობილო !

შენს სილამაზეს თვალი ვერწყდება ,
ყველა მტევანზე სხივი აწყდება ...
ასე ლამაზად რთველი იწყება ,
ბებერ ქვევრებში , რომ დაღვინდება ...

შემოდგომის თვე ასე დადგება ,
ოქროს მტევნები დაიკრიფება ,
ყურძნის ბადაგი დაიწურება ...
ღვინის ნაჟური მალე იქნება .

ღვინო , ნატურო ! დიდ ყანწით ხელში
სადღეგრძელოა , დიდების ხმაში ...
მრავალჟამიერ ! გაისმის ცაში ,
ვაზო ! გამრავლდი მთასა და ბარში !!!



სწიგნი

ფრინველთა მეფე განრისხებულა ,
მაღლა ცას მისცა , ფრთები გაშლილი ,
გრძელი კლანჭები , ძალას მატებდა-
რომ დაიბრუნოს მისი ადგილი ,

კლდეზე შეჩერდა! სიბრაზისგან განრისხებული,
ირგვლივ ხედავდა მის სამეფოს გაგიჟებული,
იქვე მიწაზე, დაფთხალიყო ყველა ფრინველი,
ფეხქვეშ ეფინნენ, სინანულით შეშინებული,

ერთნი ლამობდა, არწივის წინ თვით გადარჩენას,
იდგნენ მეფის წინ, ელოდებოდნენ მძიმე წამებას,
ირგვლივ სიჩუმე არ წყდებოდა, მთები გუგუნებს,
მეფე არ თმობდა, მის სიმკაცრეს, დაუსჯელობას!!!

არაგვო

კენჭებს დაგითვლი , არაგვო !
ხევსურეთს როცა ვნახავო ,
არ დავტოვ არც ერთ ქვასაო ,
ვფიცავარ შენსა ფსკერსაო !

ფშაველას თვალით ნახედო ,
ბუნებავ , მწვანე მთისაო !
სიტყვა , ვაჟის ნათქვამო ,
მთის ხალხის სიამაყეო !

არაგვის პირო , კლდისაო !
მთასა და ბარსა ვფიცავო !
არ გავტეხხ ქვეყნის ფიცსაო !
შვილი ვარ შენი მთისაო !

ნახევარი

მთას ქუდად დაჰფარებია
ნისლი თოვლივით ქათქათა ,
ჯიხვ , კლდეზე რომ შერჩენილა ,
არწივს შეხედა ჯავრადა ...

ნისლო , გაშორდი მთასადა ,
ჯიხვს შორდი კლდეზე , მარდადა !
არწივს მიეცი თვალადა ,
დაიცვას მისი ბალადა !

ნისლო , თეთრი ხარ ქათქათა ,
მაგრამ რა გინდა ქუდადა ?!
აფრინდი ზევით ცასადა ,
გამოჩნდეს მთები ლალადა !

იაროს წყარომ ნარნარმა !
ნადირმა მთაში მარადმა !
ილალოს ცაში ფრინველმა !
იყვიროს მთასა ირემმა !

ზამთარი

ცაზე გუგუნებს ! ზამთრის ღრუბლები ,
ყინვის სუსხია , ფოთოლმცვენელი ...
ირგლივ დათოვა მთები , ველები ,
უფერულია მისი თვეები ...

ზამთარმა გასცა თავის ფერები ,
მას არ სჭირდება მწვანე ედემი ...
ირგლივ ჩააცვა ყოველს თეთრები ,
მკაცრად მოვიდა გაუტეხელი .

არ აბატონებს არვის სხვა ფერით ,
ის თეთრია და ყინვის ლოდებით ,
დაუნდობელი , ყველა სიმკაცრით
ამაყოფს , მხოლოდ მყინვარწვერებით ...


წლის დროება

თებერვლის ყინვას , გასჩენოდა ბზარი პატარა ,
მზე გამოსულა , მაგრამ სხივები არ მოჰყოლოდა ,
ის ფერები , ლანდად სადღაც ილანდებოდა ,
თითქოს გაზაფხულს , ნაადრევად მოსვლა ლამობდა ,

მკაცრი ზამთარი , მის დროებას რას დაუთმობდა ,
ცივი დღეები , გაზაფხულისკენ წინ იწეოდა ,
ვარდის კვირტები , შეშინებული ვერ იშლებოდა ,
წინ მარტი იყო ! მოუთმენლად თოვლს რომ ელოდა ,

თოვლი , წვიმა და ქარიშხალი რომ მძვინვარებდა ,
ზამთრის თვეები , გამარჯვებას ცასაც აწვდენდა ,
ეს დრო მისია ! მყინვარებით რა ძლიერია !
ცივია მაგრამ , ეს სიცივე მისი ბედია ,

ასე ელოდა გაზაფხული ! თოვლი დნებოდა ,
არ მიდიოდა ეს ზამთარი , ნელა ქრებოდა ,
არადა უკვე გაზაფხული , ზაფხულს ელოდა ,
დრო ცოტა ჰქონდა , ზამთარს უკან დადევნებოდა ,

A decorative border with floral and scrollwork motifs surrounds the text. The border is composed of four corner pieces and two horizontal lines, one at the top and one at the bottom.

დადგა ზაფხული ! სანატრელი , ეს ედემია ,
მაგრამ იცოდეთ ! არანაკლებ , ზამთრის ტოლია ,
ცხელი დღეები , შემოდგომას სანატრელია ,
წელიწადის , ეს ოთხი დრო , ჩვენი ხვედრია...

ვერ პიესდარე

ამ , დიდ ბუნებას-
რას მივადარებ!
ძლიერ-ამაყი-
ვერას ვადარე !
ჩანჩქერი-მთიდან-
ლოდები-კლდიდან-
ღელვები-ზღვიდან-
მდინარე-წყლიდან-
ფესვები-ხიდან-
სხივები-მზიდან-
წვიმა-ნისლიდან-
ნამი-ცვარიდან-
სიო-ქარიდან-
სეტყვა-ღრუბლიდან-
სუსხი-ზამთრიდან-
შრომა-ძალიდან-
ღვინო-ვაზიდან-
პური-მიწიდან-
სიტყვა-ზეციდან-
ძალა-ღმერთიდან...

თერგი

დარიალის უკვდავ მთებში ,
ღრიალებდა ,თერგი ხევში ,
დაუნდობლად კლდის ძირებში ,
აგორებდა მორებს ქვებში ,

ირეოდა დიდ ლოდებში ,
არწივები გაშლილ ფრთებში ,
თვალთ უჭრიდათ მათ ფრენაში ,
ჩამოწოლილ თეთრ ნისლებში ,

ვერძთა , ჯიხვთა ხეობებში ,
გაჰყვიროდა ზარა მთებში ,
თეთრად ფარა ველ-მინდვრებში ,
იშლებოდა მის ქედებში ,

ზამთარ-ზაფხულ დარიალში ,
იდო თოვლი , დიდ კლდეებში ,
ამ დიდებულ ბუნებაში ,
წყნარდებოდა თერგი ხევში !

ქადრები

ჩამობერტყილა , ჭადრის ხეები ,
მიმოფანტულა ძველი ფოთლები ,
გადაწოლილა გრძელი ფესვები ,
თვალის მომჭრელი ჭრელი ფერები ,

ამაყად მდგარნი ჩამწკრივებულნი !
ხეივნის ქუჩებს დამშვენებულნი !
ტოტებს არხვევნი განდიდებულნი !
გადახლართულნი და შეხებულნი !

შემოდგომის თვეს განშორებულნი !
ზამთრის მოლოდინს შეგუებულნი !
სუსხ , სიცხესთან გამკლავებულნი !
აშოტილიყვნენ , გაშიშვლებულნი !

ახალ კვირტებზე ოქროს ფერები ,
თითქოს , მზის სხივზე გამოფენილნი ,
ჩიტის ბარტყივით შეშინებულნი ,
ჭადრის ხეებზე მიმოფენილნი...


მუთუხვის პოეზია

უკვე გამწვანდა ძლიერი მთები !
თოვლის საფარი არსად ჩანს ძველი ...
ბუნებამ იგრძნო თბილი სხივები ,
ხეებს დაეტყო მწვანე ფერები ...

ეს დიდი მთები , ბუნების მცველი ,
სადარაჯოზე ირმის გუნდები ...
არწივმა ისევ გაშალა ფრთები ,
ნაკადულებმაც იკვალა გზები ...

მაღალი მთები , მწვანე ქედები ,
ზურმუხტ ფერებში საოცრებები ...
სალი კლდეების დიდი კალთები ,
ნისლებში მდგარი ამაყი მთები !

თითქოს მახსენდება -
მზე რომ ჩადიოდა -
ზღვასაც ორად ყოფდა-
იქვე მშორდებოდა ,
წითლად ელვარებდა -
ღრუბლებს ეძახოდა -
ტალღებს ადიდებდა -
ძალას აღარ თმობდა ,
ჩასვლას არ ჩქარობდა -
ქარიც არ ინდობდა -
ქვებსაც აგორებდა -
ნეტავ რას ელოდა ?!
ზღვასაც აღელვებდა -
ირგვლივ ბობოქრობდა -
ტალღებს ახეთქებდა -
თითქოს ბატონობდა ,
კიდევ მაგონდება ,
წითლად ჩადიოდა ,
შუქსაც არ ტოვებდა ,
წყვდიადს ეძახოდა ...



ჭირნახული

ოფლით დაღვრილი , გლეხი-კაცი მოხუცებული ,
გუთანს მიათრევს , ხარ-კამეჩით გადაქანცული ,
მუხლ-ჩაუხრელად , მოიყვანოს ის ჭირნახული ...
სარჩო რომ ჰქონდეს , ცივ ზამთარში შეგროვებული ,

ჩრდილში ჩამოჯდა , მუხის ძირას დაღონებული ,
ფიქრს მისცემოდა , დარდისაგან გარინდებული ,
დაკოჟრილ ხელებს , დასცქეროდა ჩაფიქრებული ,
მომავალ დღეზე რომ ფიქრობდა შეშინებული ,

წლებსაც მიჰქონდა , უკანასკნელი მისი დღეები ,
ყოველ გაზაფხულს , აღარ იყო ისე ძლიერი ,
დრო გადიოდა , არცთუისე დაუნდობელი ,
ასე მთავრდება , გლეხი-კაცის დრო დადაღული !!!

ჩახსოვს

მართლა თქვეს : წუთი სოფელი
წამია , გაელვებო ,
იქ მიდის ფიქრი , გონება ,
რას ელის კაცის ბედით ?!

ეჰ , სიბერეში შესული ,
წვერ - ულვამ გათეთრებული ,
წავა- წამოვა ფიქრები ,
ხანჯალზე ხელ-დადებული...

ფიქრს უნდა წყნარი სიბერე ,
სიბერეს - დამშვიდებო ,
მართლა ბრძენს უბრძანებია :
„ წამია ეს ცხოვრებო .“

პიძინეზუღაი გუღაი

ვაი, რომ დავბერებულვარ ,
მართლაც , რომ გავთეთრებულვარ ,
დარდსაც რომ შევულახივარ ,
წლებსაც კი შევუნახივარ...

გულსაც რომ სევდა უთქვია ,
თვალის ჩინს დაუჩივლია ,
სიბერე ჩვენი ბედია ,
ამქვეყნიური ხვედრია .

კარგია გულით სიმშვიდე ,
ჯანმრთელი სულის ცხონება ,
ცხოვრების დიდი წადილი
გაქრა , დაიმსხვრა სიმშვიდე .

სიჭაბუკე

ეს საუკუნე ჩემი ტოლია ,
ასე ეს წლები რომ დამტყობია ,
მე სიჭაბუკე დამბერებია ,
ასე ფეხდაფეხ გამომყოლია ,

თმები , ჭადარას დაუნისლია ,
უდარდელ გულსაც დაუკვნესია ,
მე სიჭაბუკე დამშორებია-
თითქოს , წარსული არამქონია ,

ეს საუკუნე , ხვედრთა ხვედრია ,
მოსვლა და წასვლა სანუკვარია ,
ასე სიბერე შემომპარვია ,
წარსულის წლები დამვიწყებია .

ეს ყველაფერი საკვირველია ,
ახალგაზრდობა შემომღევიანია ,
ცხოვრება წილად მე გამივლია ,
კვალი კვალდაკვალ დამიტოვია ...

ისევ გარბიან

ისევ გავშალე ჩემი აფრები ,
ბოლოდ ვიმღერე ტკბილი ჰანგები ,
სულ დამავიწყდა ირგვლივ დარდები ,
ბედნიერებით ლამის ცას ვწვდები ...

ისევ გარბიან წუთი - წამები ,
ფაფარ აშლილი თეთრი ცხენები ,
ველარ ვეწევი და ვერც ვჩერდები ...
ეჰ , სიცოცხლისგან დარჩა წამები !

ველარ შევაბი თეთრი ცხენები ,
ვერ შევაჩერე წუთი - წამები ...
საით მივქრივარ , მე ახლა ვხვდები ,
ასე მთავრდება ცხოვრება ძნელი !

ს ი ე მ ე ყ ე

სიბერემ უკვე გამიღო კარი
და მოითხოვა სიცოცხლის ვალი ,
დაფიქრებულმა დავხარე თავი ,
სიცოცხლისთვის მაქვს , მე დიდი ვალი ...

არ მეშინია სიცოცხლის ვალის ,
მე გავუსწორე ცხოვრებას თვალი ...
თავაწეულმა დავტოვე კვალი ,
ასე გაქრება სიცოცხლის ვალი ...

სიო დაბერავს და დიდი ქარი ,
მე არ მიმყვება ცხოვრების დარდი ,
მოგონებებით გავავლე თვალი ,
სიამაყეა , სიცოცხლის კვალი !

ვაზაფხულის წვიმა

ცხოვრება როგორ მიდის ?!
ერთ წუთს სულ არ იცდის !
წლები აღარ გვიცდის ,
დღეებს ხშირად ითვლის ...

ამ ქვეყანას ვიცდით ,
დროებით და შიშით ,
დიდი სიყვარულით
აღბათ კიდევ ვივლით !




წლები ნახევრდება ,
გული არ ბერდება ,
ვაზაფხულის წვიმა
ისევ ამღერდება ...

კანსერის დასრულება

ამ ცხოვრების ყველა წუთი -
მოგონების გრძელი მძივი ,
თითო - თითო აკინძული -
რა მწარეა და რა ტკბილი !

ყველა მძივზე იკითხება ,
ეკალ - ვარდით გამოვლილი ,
ენით გულში ნასროლი და
ტკბილი სიტყვით დაფარული ...

ყოველი დღის ნაფერები ,
გრძელი მძივი ნაგროვები ,
ზევით ცაში გაიშლება ,
ვარსკლავებად გაბრწყინდება ...



8 პარტი

ამ დღეს მოელის ქალი ,
ეს ხომ , რვა მარტი არი ,
აყვავებულა ვარდი ,
ისიც ქალების არი ,

თეთრი ვარდები თმაში ,
იასამნები ხელში ,
მათი თვალების ფერი ,
ამ დღის მილოცვას ელის ,

ეს ქალები და მარტი ,
ეს თვე მაგათი არი ,
გაზაფხულზეა ლაღი ,
მინდა ვუმღერო ჰანგი ,

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

გაზაფხულს , როცა ია ამშვენებს ,
თავთავი მორცხვად თავს ატრიალებს ...
ჯეჯილი მინდვრად ლაღად ბიბინებს ,
ბულბულის წყვილი ბუდეს იკეთებს !

შაშვი გალობით თავს რომ იწონებს ,
ფუტკარი ნაზად ყვავილს აწვალებს ,
მერცხალი სადღაც აქვე ტრიალებს ,
წვიმის წვეთები , ჩუმად წკრიალებს !

ხეებს კვირტები რომ შესკდომია ,
ჰაერს სურნელი რომ დასტყობია ,
ჭიამაიას ფრთები გასშლია ,
როგორი თბილი გაზაფხულია ?!

თ თ ც ა ი ს

ცაში დაფრინავს თეთრი თოლია ,
გრძელი , ფარფატა ფრთები ჰქონია ,
მზესთან, სიყვარული ჰქონია ,
მასაც , სილამაზე ცოდნია .

იფრინე, ზღვასაც გადაუფრინე ,
ამ მფრენაში ტალღებს გადაეფინე ,
სიყვარვარული მაღლა ცაში აფრინე ,
შორს წაიღე და სხივებად აბრწყინე...

თოლიების დიდი გუნდი შეკრიბე ,
მაღალ ტალღებს გული გადაუშაღე ,
ყველაფერი , ლამაზ ამბად უამბე ,
აღელვებულს , მისი სუნთქვა ისმინე...

თეთრ თოლია, დიდი ფრთები გაშაღე ,
ღურჯ ტალღებში ნარნარ-ნარნარ იცურე ,
იალქნები , შუა ზღვაში აცურე ,
მზის ჩასვლაში სხივებს მოეაღერსე ...

ახალი წლის ღამეს

ახალი წლის ღამეს თოვდა ,
ფანტელები ტრფოდა , ტრფოდა ,
ჩემს გულზე რომ დაათოვდა ,
ის მაშინვე იქ დნებოდა ...

თეთრ საბანში გახვეული
ხე და მთები არსად ჩანდა ,
ზამთრის სუსხში , გაყინული ,
სიხარულიც ბევრი მქონდა ...

ქარსაც სადღაც შორს მიჰქონდა ,
თოვლის ზვინებს აგორებდა ...
ზევით ცაში ტრიალებდა ,
ფანტელების , გუნდი ტრფოდა ...

თ, რა ტკბილია

ვიოლინოში მე ჩავდე სხივი ...
და ავაჟღერე სამშობლოს ჰიმნი ,
როცა ავიღე ის დიდი სიმი ,
კიდევ ვიგრძენი , სამშობლო ტკბილი .

რა ძვირფასია სამშობლო , დიდი ,
ო , რა ტკბილია ის ჩემი ჰიმნი !
აჟღერებული , ცას სწვდება სიმი ,
ვიოლინოა ის ჩემი სხივი !

ს ი ჯ რ თ ე

ქვიშა გახდება კენჭები -
კენჭები კიდევ ლოდები -
აღიმართება კლდეები -
აღარ იქნება ღრუბლები !
რკინას არ შეჭამს ჟანგები ,
ხეებს მატლები მსუქნები ,
წყალს შეაჩერებს ბორცვები ,
ქარს კიდევ მიწის ქანები !
დროსაც მიხედავს წამები ,
ფუჭად განვლილი დროები ,
კენჭი კენჭზეა სადები -
რომ აღიმართოს კედლები !
მგლების ნაშობი ლეკვები -
დაიზრდებიან თბილები -
კიდევ იმათი შვილები -
ერთად იქნება გუნდები !
ცეცხლის პატარა კვამლები ,
ესეც ნაკვერჩხლის კერები ,
ხელი ხელს მიეც ნაქები !
დაე აჟღერდეს ჰანგები !!!

მ ა რ ტ ი

მე ამ თვეში დავიბადე ,
მარტის სურნელს დავეწაფე ...
გაზაფხულის მომლოდინე ,
მარტის თვეა სიამაყე !

ბობოქრობით განთქმულია ,
ყველა დროში რჩეულია !
სიყვარულში ერთგულია !
სიმამაცე შეუძლია ...

თებერვალს რომ დღეებს ართმევს ,
მოუთმენლად მოსვლას ლამობს ,
გაზაფხული მოიყვანოს ,
როგორც უნდა იბატონოს ...

მარტი თავის ხასიათებს
ზამთრის სუსხსაც მიადარებს ,
ვერ გაიგებ , როდის მოთოვს
და ქარიშხალს ამოაგდებს ?

დიდ წვიმასაც მოაყოლებს ,
თან იებსაც ააყვავებს...
ვარდებს თვალებს უბრიალებს ,
ცაში ღრუბლებს ატრიალებს .

მარტმა გული მოიოხა ,
მზეს ღრუბლები მოაშორა ,
ცისარტყელა გადაჭიმა-
ხასიათი შეიცვალა...

აპრილს ელის რომ ასესხოს ,
უნდა ეს თვეც გააგიჟოს ,
ვერ გაიგებ მარტის ფიქრებს ,
სიამაყე მას რომ დარჩეს !!!

მაისის ქუთაისში

მაისის თვე , გიმნაზისტო !
გვირილებით გადაივსო ,
გამახარე ქუთაისო !
შენთან ერთად ვიხალისო !

ბაბთებით და შლიაპებით ,
ჟღალი თმების ნაწნავებით ,
დაწნულ ჩალის კალათებით ,
ყვითელგულა გვირილებით ,

რიონი და თეთრი ხიდი ,
ამ ხიდის ქვეშ თეთრი ქვები ,
ირგვლივ მთებზე მოფენილი
ვარდები და გვირილები ...



მიკვანწული - მოკვანწული
ძველი ბაღის ბილიკები ,
აივნებზე გადმომდგარი
კუდაბზიკა იმერლები ...

ენა სხარტი და ხმიანი ,
სიმღერები ჰანგიანი ,
პურ-მარილი მადლიანი ,
სადღეგრძელო ყანწიანი...

მოქეიფე სტუმრიანი-
ჭურში შაქარ-ღვინიანი ,
მოცეკვავე შანსიანი-
მასპინძლობა გულიანი...

გვირილა და გიმნაზისტი-
ლეგენდაა ქუთაისში ,
იმერეთში სიხარული-
გადაიქცა სიყვარულში...

ამ ქალაქში გვირილები ,
ვარდები და შროშანები ,
ჰანგები და სიმღერები-
მუდამ დღეა მის ქუჩებში...



მეხვედრს ზედთან

შენ , დაიბადე ბედნიერ თვეზე !
შენ , გაიმარჯვე იმ ლამაზ დღეზე !
შენი თვალები ელვარებს მზეზე ,
შენი ვარსკვლავი ბრწყინდება ქედზე .

მეც , დავიბადე ბედნიერ ღამეს ,
მეც , გავიმარჯვე იმ ლამაზ მთვარეს ,
მეც , შევიყვარებ ბედნიერ წამებს ,
მეც , როცა გავჩნდი , ბედნიერ ნათელს .

ახლა ორნი ვართ ამ ქვეყანაზე ,
ბედმა შეგვყარა ცის კამარაზე ,
შენ მზე იქნები , მე კიდევ მთვარე ,
ასე იქნება ეს დღე და ღამე ...

მთვარე ვიყუარებ

ღამით შენს ბაღში გადმოვიპარე ,
ვარდები ჩემსკენ გადმოვიბირე ,
იასამნების გუნდი შევკრიბე ,
შენს სიყვარულზე ველაპარაკე ...

ბაღში რამდენი ია ვაგროვე ?!
შენს სარკმეველთან ჩუმად დავაწყე ,
როცა სანთელი უკვე ჩააქრე ,
ვარდის ფურცლებით გული დავხატე ...

ღამე უშენოდ ჩუმად ვათენე ,
ყველა ყვავილი კოცნით დავატკბე ,
ხესთან ბარათში , გული დავტოვე ,
შენი სახელი ამოვაქარგე ...

ფერები

შენი ტუჩები ვარდის ფერია ,
რომელი ვარდის ?! ვერ გამიგია !
თეთრი , წითელი , ეს ხომ ფერია !
შენი ტუჩები ჩემთვის ბევრია !

თეთრი ვარდები უფერულია ,
წითელი , კიდევ გულის ფერია ,
შენი ტუჩები ვარდისფერია ,
ვარდისფერი ხომ ჩემი ფერია !

ფერები გრძნობას ვერ გაუგია ,
ჩემთვის ტუჩები ყველაფერია
ვარდის ფერებში ჩამფიქრებია ,
მე , მართლა , ფერი ამირჩევია !

ს ი ს ი

მაისის თეთრი იასამანი
ქარის და სიოს ნარნარ - ნარნარი ...
წვიმა და მისი თბილი წვეთები ,
ამ ზღაპრულ ღამეს ვერ შეველევი !

მოვა მაისი, თბილი აისი ,
ჩემი სიმღერა გულთან მიუშვი !
ჰანგების ჟღერით შენთან მომიშვი ,
შენს სარკმეველთან ციდან დამიშვი !

ხელში ფიალით ცეცხლი ავუშვი ,
მე რომ გიმღერებ , გული გაუშვი ,
შენს სარკმეველთან მუხლზე დავემვი ,
შენ შეგიძლია ჩემი ნუგეში !

ზედახედი და იადონი

აშრიალდა ხის ფოთლები
იცი , როგორ მენატრები ?!
უშენობით ვეღარ ვიცდი ,
შენ სადა ხარ , გელოდები ...

ჩქარა, ისევ დამენახე ,
სიყვარულით იქნებ დავტკბე ,
ლამაზ თვალებს შემახვედრე ,
მაგ თვალებით მეაღერსე !

მონატრებით დანახული ,
ცაზე მზე ხარ ამოსული ,
ბულბული და იადონი -
ჩემი გულის დამპყრობელი ...

სილამაზით დახატულო !
მკერდზე თმებით დაფენილო ,
ჩემთან მოდი , დაგინახო ,
იქნებ , სუნთქვა შემიჩერო !

ვარდობის თვეში

მაისის წვიმას დაველოდები ,
მაშინ ალერსით მოგეფერები ,
ვარდობის თვეში შენთან დავტკბები ,
წვიმის წვეთებით მე დავსველდები ...

ვარდების ბალთან დაგელოდები ,
გაშლილ ვარდებით ჩაგეხუტები ,
მართლა დაგიკრეფ , არ გეხუმრები !
ჩუმად მოგიტან , გულით გპირდები !

ხომ მართლა გინდა ჩემი ვარდები ?!
მაისის წვიმას მე ველოდები ,
ვარდის სურნელში გაბრუებული ,
შენ სიყვარულში ჩავიძირები ...

ღ ა ბ ე

შენზე ფიქრებში მითენებია ,
ღამესთან შენზე მისაუბრია ...
საიდუმლოც კი შეუნახია
ღამის ფიქრები , ო , რა ტკბილია !

სიოს ფოთლებიც არ ურხევია ,
იქვე მთვარესაც შეუმჩნევია
ვარსკვლავთა გუნდი , შეუკრებია ...
ჩვენ საუბარზე ყური უგდია ,

ღამე ვარსკვლავიც ბედნიერია ,
მთვარე , ღამაზი , ძლიერ თბილია ...
სიოს სიჩუმეც საკვირველია ,
რამდენი ღამე დამთენებია !

ჩ ა გ ი კ ო ნ ო

ჩემო დარდო , გულის ვარდო ,
გულში უნდა მოგიტაცო ...
სიყვარულში გადაგადო ,
კიდევ მინდა განავარდო !

გმალო , გმალო , ვერ დაგმალო ...
სიყვარულში მე დაგატკბო ,
გულში მინდა ჩაგიკონო
და ტუჩები დაგიკოცნო !

სიხარული მე განახო ,
სიყვარულით გაგახარო ,
გულში მაგრად თან დაგათრო ...
სიყვარულში მე დაგატკბო !

ამ საქართვეში

გრძნობას გაგიძხელ ყვავილის ბაღში ,
სიყვარულს გეტყვი მოჩითულ მთაში ,
გულს გადაგიხსნი ვარდების ბარში ,
კოცნით დაგატკბობ კამკამა ზღვაში ...

კიდევ წაგიყვან ქათქათა თოვლში
და ამოვარდნილ იმ ძლიერ ქარში ,
წვიმაც მოგვისწრებს იმ ქარიშხალში ,
ზამთრის სუსხიც კი თბილია მასში ...

უხმოდ გადმოგცემ , რა ხდება გულში ,
მე ჩამითრია დიდ გრძნობამ ომში ,
როცა გიყურებ ოცნების კოშკში ,
სულ შენთან ვიყო ამ სამყაროში !

მონაწილე

შენს ლამაზ თვალებს ლექსი ვუძღვენი ,
იმ ნათელ თვალებს , თაფლისფერ თვალებს
მზის სხივზე მეტად ის რომ ასხივებს ,
კაშკაშა მზერა , ცას რომ ანათებს .

მზერა , რომელიც არევს გონებას ,
სხივი , რომელიც ალს-ადებს გრძნობას ,
პატარა თვალებს , თაფლისფერ თვალებს
წმინდა ძალა აქვს , მაგ ლამაზ თვალებს .

ღამის ცა

შუა ღამის, ვარსკვლავს გავდი ,
მშვიდად ცაზე , ელვარებდი ,
გულს იმედსაც არ აძლევდი !
ასე მარტოდ კაშკაშებდი...

ირგვლივ ღრუბლებს იშორებდი ,
ზევით ცაში ნავარდობდი ,
მთვარეს შორიდან ხედავდი -
როგორ ნაზად ეძახოდი ,

მაგ სხივებით აღმასობდი ,
ყველგან სხივით ანათებდი ,
ღამის ცაზე ამაყობდი ,
შუა ღამით ნარნარობდი ,

კენტად მარტო დედოფლობდი ,
იმ წყვილიაღში კეკლუცობდი ,
მზის ამოსვლას არ ჩქარობდი ,
ჩემს ფანჯრებთან დარაჯობდი !!!

ქ ა ჟ ი ა ლ ი

ღამის წყვილადში ,
ფოთლების შრიალში ,
გულის ფრიალში ,
ცხოვრების ტრფიალში ,

თმების შრიალში ,
კაბის ფრიალში ,
ლამაზ თვალებში ,
სათნო ბაგებში ,

გხედავ ქუჩაში ,
ლ ა მ კ ი ო ნ ე ბ შ ი ,
შრიალ - შრიალში ,
ღამის წყვილადში .

მთვინე სი

ლამაზ სხეულში მშვიდი სულია ,
სიცოცხლის აზრში სიყვარულია ,
გონების ფიქრში ვარდის სურნელი ,
ვარდის სურნელი სიყვარულია .

სიყვარული კი სიხარულია ,
აზრთა და ფიქრთა შვამავალია ,
ლამაზ სხეულში მშვიდი სულია ,
სურნელი ვარდის წარმავალია .

ძან შეძლე ვეძენ

ედემის ბაღში სკამზე გიხილე ,
მას შემდეგ გული ვერ დავიმშვიდე ,
ქარში , წვიმაში , სად არ გეძებე !
მაგრამ იმ დღიდან ვერსად გიხილე .

მგონი , აჩრდილი ვერ გავარჩიე ,
იმ ბაღში სკამზე ბევრჯერ გიცადე ...
ალბათ იმ თმების ფერი ვარჩიე ,
მაგრამ შორიდან ვერ გავარჩიე ...

ჩემი გულის ხმა ველარ დავძლიე ,
სად არ მოვედი , ყველგან გეძიე ...
უბრალოდ , თვალეზს ვერ დავუჯერე ,
ეს სილამაზე რომ მომაჩვენე .

შენი რჩეული

რატომ ! მიცქერი გაოცებული ,
მე ხომ , ესა ვარ ! შენი რჩეული ,
რამდენ ფიქრებში ამორჩეული ,
და შენს თვალებში მე მიჩვეული ,

უძილო დამეს შემოჩვეული ,
შენს სიზმრებში ვარ გამორჩეული ,
ამ ოცნებებში ვარდად ქცეული ,
ლამაზ გრძნობებში კვლავ გარკვეული ,

შენს ლანდს , აჩრდილად შემოხვეული ,
მტვრად და ბუმბულად მე დადებული ,
შენს გზას , ხიდად ვარ გადადებული ,
ასე შუქ-ჩრდილად ადევნებული ...

ოდესმე ვეხყვი

მაშინ მე ვერ ვთქვი ის ნაზი სიტყვა ,
როცა შენ შემხვდი , მიყვარხარ მეთქვა ...
ასე მეგონა, თვალეზმა გითხრა ,
შენ ვერ გაიგე თვალეზის სიტყვა ...

რა ძვირფასია ეს ნაზი სიტყვა ,
მე ვერ გავბედე , მიყვარხარ , მეთქვა ...
გული გიბგერდა , თვალეზმა მითხრა ,
შენ ელოდები , მიყვარხარ , გითხრა .

გაოცებული გიცქერდი დიდხანს ,
მე გულში ვეძებ მაგ ლამაზ სიტყვას ,
როცა გიყურებ , მე ვერ ვარ მშვიდად ,
ოდესმე გეტყვი მაგ ლამაზ სიტყვას !

ჩემი შუქი

როგორ მინდა რომ შენს თვალწინ
სანთელივით დავიღვენთო ,
ამ ნაღვენთში სიყვარული
დიდი გრძნობით წაიკითხო !

რა იქნება , რომ ამ ნაღვენთს
შენი ცრემლი შეამატო ,
იქნებ გული გამოძერწო ,
სახსოვარი შეინახო !

შენთვის მინდა რომ არ ჩავქრე ,
ჩემი კვალი არ დაკარგო ,
შენს ფეხებთან დაღვენთილი
ჩემი შუქი არ ჩააქრო !

ნეთუ დაგვარგე

სიზმრად გელოდი , მაგრამ ცხადშიც არ დამენახე ,
იქნებ მე მოველ , შენს სიზმრებში რომ დაგენახე ,
ყველა ღამის წინ შენზე ლოცვაში რა არ ვიფიქრე ,
მაგრამ სიზმარი , სიზმრად დარჩა ჩემო სინათლე ...

ო , საოცრებავ , უშენობით როგორ ვიტანჯე ,
შენი გულის ხმა , სად არ მესმოდა , ნეტავ იცოდე ...
ის საუბარი, სიყვარულზე როდის შეწყვიტე ?!
შენზე ფიქრებში , აყოლილმა თავიც დაგვარგე ?!

როგორ ვავსებდი , ჩემს ოცნებებს შენს საუბარზე ,
მთვარის , სხივები რომ განათებდა წმინდა თვალებზე ...
ამ მთვარის შუქზე, ასე ჩუმად როგორ დაგვარგე !
ალბათ ეს ღამეც , სიზმარია რომ მომენატრე ...

ვარსკვლავთა ცვენა

ღამის სიჩუმეს , მივყვები ნელა ,
ფოთოლშრიალში სიო რომ კრთება ,
მთვარიან ღამეს , ფოთოლთა ცვენა ,
ვარსკვლავთა შორის , სხივები ჩნდება...

როცა ითენებს , ინათებს ბნელთა ,
მზე გაიშლება ბრწყინვალე ფერთა ,
ვარდების ბაღში , ყვავილთა ფლორა ,
ხეებს დაარხევს ნიავის ქროლვა ,

მთვარიან ღამეს იქნება ვნება ,
და საოცარი , ვარსკვლავთა ცვენა ,
აშრიალებულ , ფოთოლთა ფრენა ,
მთვარიან ღამეს , ბევრი რამ ხდება ...

ღამე , ისევ დღეს დაედევნება ,
მზიანი დილა ასე თენდება ,
ღამაზ ფერებში გადაიშლება ,
ვარსკვლავთა ღამეს დაელოდება...

ნაძაღვანდოეუდა

მას ხომ მართლა არ უყვარდა ,
რას ფიქრობდა , რას ვერ თმობდა ?!
ალბათ , რამეს ვერ ამბობდა ,
გულში სევდას ეძლეოდა ...

მის თვალებში იგრძნობოდა
ძალით ვიღაც რომ ჩნდებოდა ...
ალბათ , გულთან ვერ მიჰქონდა ,
მის რჩეულად არ უნდოდა ...

მას ხომ უკვე სხვა უყვარდა ,
დიდ სიყვარულს რომ მალავდა ,
თვალზე ცრემლი აშრებოდა ,
ვერაფერს რომ ვერ ამბობდა !



საით წავიდე

ისევ დავლიე მარტოობის , კიდევ შევავსე ,
ყანწიც შევავსე , სადღეგრძელო ჩუმად დავლიე ...
თიხის ფიალა აღარ მახსოვს , როგორ გავლიე ,
სამფეხა სკამზე ჩაფიქრებული , საით წავიდე !

რას ველოდები ღვინისაგან ?! ველარ გავიგე !
დოქის მუცელზე ჩახუტებულს , შენ , ვერ გამიგე !
ცეცხლის ნაკვერჩხლის ყურებაში თვალი ავრიე ,
წუთისოფელში მარტოობით რად ჩავიძირე ...

შენთან მოვედი , მაგრამ უკვე აღარ მიმიღე ,
დიდი ყანწებით , ფიალებით , ველარ ვიარე ...
მაშინ ვიფიქრე , ცხოვრებაში რა გავაკეთე ?!
რომელ ბილიკზე , ან რა გზაზე , როგორ ვიარე ?!

იქნებ

იქნებ გამათბო , სიცვიისგან შეძრწუნებული ,
კარი გამიღე , დიდი ხნის წინ გადაკეტილი ,
ნეტავ რადროა ?! შუალამეა მიძინებული ,
უკვე , ვერ ვიგებ , ყველაფერია სულ არეული ,

რალაც , სიცვიემ ამიყოლა გაშეშებული ,
მარტოობასაც ვეღარ ვუძლებ შეშინებული ,
რის იმედად ვარ ?! ყველასაგან მიტოვებული ,
იცი არ მცივა ! ჩემი სულია სულ გაყინული !

არა , არვფიქრობ, ცეცხლი დამინთო გასათბობელი ,
პური მოგთხოვო , ანდა წყალი გადასარჩენი ,
მართლა არ მინდა ! ის ნუგეში ნამალადევი ,
იქნებ წამოგცდეს , ტკბილი სიტყვა განმკურნებელი...

ნაფეხურები

უკვე შეივსო , იმ წარსულის ბოლო ფურცლები !
ყველა წუთები , და განვლილი მოგონებები !
ასე დარჩება ! დინოზავრებით ნაფეხურები !
ამ წიგნში რჩება ! მოსამართლე და ის მსაჯულები...

ახლა მიხვდები ! ამ ცხოვრებას როგორ შეხვდები ,
ბნელში დატოვე ! არ გაიხსენო მდუმარე წლები ,
თუნდაც იმ გზაზე , მოფენილი მწარე ეკლები ,
უმალ ეცადე ! მოიშორო ძველი ცრემლები...

როცა სინანულს , სინანულით დაუბრუნდები ,
სადღაც სიღრმეში , ჩაძირული გაახსენდები ,
იმ წარსულს ასე უშიშარი ჩამოშორდები ,
მაშინ იცოდე ! თავსაც ასეთი შეუყვარდები...

ველის ზღაპრები

ნისლი ჩამოწვა , გზა შარაზე , შეუწყვეტელი ...
მგლის ბილიკებზე აღარ ჩანდა ნაფეხურები ,
ტყეც არ შრიალებს , მშვიდად იდგა დაწყნარებული ,
ნისლი მეფობდა , ბატონობდა ჩამოწოლილი ,

დიდხანს ვუცქერდი , ამ სიბნელეს ჩაფიქრებული ,
ასე გაგრძელდა მთელი ღამე დაბნელებული ...
მგლების ყმუილი , შორს ისმოდა გამყრუებელი ,
წყაროს ჩხრიალი , არ მტოვებდა ჩემთან ჩვეული ...

ისევ გავნაგრძე , იმ ნისლებში შორს სიარული ,
აქ ხომ მარტო ვარ , სინათლესთან მოშორებული ,
ისევ იმედი , იმედს მაძლევდა , შორის მხედველი ...
იქნებ ითენოს , სხივი გამოჩნდეს , ჩემი მშველელი !!!




ნუ დაჰიშვით

ღვინოს ვერასდროს ვერ განვუდგები-
თუნდაც შემაბან რკინის ჯაჭვები ,
სადღეგრძელოზე უარის მთქმელი ,
მე ვერ გავხდები სიცოცხლის მტერი ,

მოდი , დავასხათ გამარჯვების გადასარჩენი...
კიდევ შევავსოთ , ამცხოვრების მოსაგონარი ,
ჯამი გაავსე , საბშობლოსთვის შესაწირავი !
ყანწი მომეცი სიყვარულის აღსანიშნავი...

იქნებ შეწყვიტო ! საყვედური ცუდად ნათქვამი ,
ამ ცუდის ნაცვლად , გამიღიმე ტკბილი მითხარი...
წმინდა ცრემლებით , მათქმევინე გულის სათქმელი...
ვიცი , არ მოგწონს საყვედური ჩემგან ნათქვამი .

ღვინოს , წამლად თუ შხამად დავლევ , ვერ შეველევი ,
ამ წუთისოფლის, მთებს და ველებს მე ვერ შევწვდები,
როგორ არვიცი ?! როგორ აგიხსნა ეს ყველაფერი ,
იცი ? რა სითბო ! სიყვარული დევს მასში ულევია!!!



ნუ დააშორებ

გრძნობას ვერასდროს ვერ შეაჩერებ ,
სიყვარულს გულთან ნუ დააშორებ !
იმ გრძნობას როცა ძლიერ აფასებ ,
დიდხანს ფიქრებით მასთან ტრიალებ ...

შენა ხარ გრძნობის ვარდების კონა ,
გულით ატარე , ძვირფასო , გრძნობა !
ნუ შეგაშინებს ჩემს მიმართ ნდობა !
არ დაინანო თვალებით ტრფობა !

იქნებ გაბედო , გაბედო , ჩემო !
იქნებ ჩემს მიმართ გრძნობებში გნახო ,
ფრთები გაშალო , იფრინო ქვემოთ ,
მეც ამიტაცო ღრუბლებში ზემოთ !

მიუწვდომელო , სიცოცხლეც , ჩემო !
დიდი გრძნობიდან არ ამომშალო !
ვაი , რომ , მართლა , არასდროს მნახო ,
შენი გულიდან მე დავიკარგო !!!

საყვედური

რატომ ფიქრობ , გაქრა გრძნობა ,
მოგონება დაგრჩა თითქოს ?!
იმ წარსულის სიყვარულმა
დაგიტოვა გულში სითბო ...

სიყვარული არა ქრება !
ენაცვლება მხოლოდ სითბო ,
მიჩვეული სიყვარული
გულში რჩება მხოლოდ სითბოდ .

შენი ბაგით გამოთქმული
მიყვარხარო , გაქრა თითქოს ,
ეს არ ნიშნავს რომ გიყვარდი ,
დიდი გრძნობა დარჩა სითბოდ ,

ვათრეზუდაი

მინდა , რომ ვიგრძნო შენი სურნელი ,
ღვინის სმაში ვარ გაგიჟებული ,
თამბაქოს კვამლში გაბრუებული ,
სადღეგრძელო მაქვს გამოლეული ...

მე , მართლა , გულით გაორებული ,
შენს მიმართ მხოლოდ გაცეხებული ,
მთვრალი გონებით გადარეული ,
დიდ სიყვარულში მე დაბნეული ...

ღვინოში - სევდით გაგიჟებული ,
შენს სიყვარულში - ჩაფიქრებული ,
ღვინის სურნელში - გარინდებული ,
თამბაქოს კვამლში - სულ არეული .

პიჯოუხუდი

ცოტას როცა დავითვრები ,
სადღაც ბნელში ვიკარგები ...
არე-მარეს მოვედები ,
შემიბრალე , გევედრები !

თუ როდესმე დავიღლები ,
შენი მზერით დავიწვები ,
მართლა , ფერფლად გადვიქცევი ,
სინანულით ავივსები !

ეხლა მაინც დავფიქრდები ,
შენს ფიქრებში ჩავიფლები ,
ჩემს სულში რომ ჩავფიქრდები ,
ალბათ მაშინ გავილევია ...

მაგ ცრემლებსაც ვერ ველევი ,
მარტო რომ ვარ , მენატრები !
ველარაფერს გეუბნები ,
გელოდები , გელოდები !!!

ნეტარება

ნუ გაიკვირვებ ! თუ აღარ ვარ ის ახალგაზრდა ,
არ მაგრძნობინო , შემოხედვით ის გაოცება ,
როგორ ვეცადე , მაგრამ დრომაც აღარ მაცადა !
ვეღარ ვიფიქრე , თუ ოდესმე ისევ შეხვედრა ...

რისთვის მინდოდა , სიჭაბუკე ახალგაზრდობა ,
წლებმა გამწირა , არ დამინდო გამანადგურა ,
გულში რომ იყო , დალექილი , დიდიხნის შფოთვა ,
აღარ მინდოდა მარტოობაში არავის ნდობა ,

არ გამაოცა ! შენმა თმებმა , თეთრმა ჭაღარამ ,
არც ნაოჭებმა , ოდნავ თუნდაც შენმა სიბერემ ,
გახსოვს ? ოდესღაც შავთმიანი ახალგაზრდობა ,
ეს , ასე დარჩეს სიყვარულის მოსაგონებლად ...

ეხლა რომ მოხდა , ბედისწერით ისევ შეხვედრა ,
ამ შეხვედრაში , იქნებ ვცადოთ ის მეგობრობა ,
ჩვენი ჭაღარა შევერცხლილი ეს სათნოება ...
იქნებ სახსოვრად , ისევ გვაჩუქოს , დრომ ნეტარება ...

განუყოფელი

შენ გინდა , გრძნობა იმ ღამეს ჰგავდეს ,
როცა შევეხე შენს ლამაზ ბაგეს ,
იმ გაშლილ თმებს და იმ ლამაზ მკლავებს ,
და აცრემლებულ ბედნიერ თვალებს !

გრძნობა ნელდება , იწვის ნელ-ნელა ,
ბაგე ბერდება , ღამეც თენდება ...
გული ბერდება , თმები თეთრდება
და ღადარივით დაიფერფლება .

იმ სამყაროში რამე თუ ხდება ,
მაშინ გულები ერთად იქნება ...
ეს ყველაფერი ჩვენთან დარჩება ,
განუყოფელი ჟამი დადგება .

ჩ ყ რ ღ ი ა ღ ი

ჩემ ბედზე შემხვდი იმ ღამეს თითქოს ,
ღამეს , რომელსაც არა აქვს სითბო ,
მთვარის შუქიც კი არსად ჩანს თითქოს ,
ვერც შეგამჩნიე წყვილიადში თითქოს ...

სანუგემებლად მოსულხარ თვითონ ,
მე კიდევ თურმე ვერც გამჩნევ თითქოს ,
ნუგეშის შემდეგ გიგრძენი თითქოს ,
როცა ვიგრძენი , უბრალოდ , სითბო ...

ღამე გაგრძელდა იმდენხანს თითქოს ,
ბოლო არ უჩანს სიცივეს თითქოს ,
მთვარის შუქიც კი არსად ჩანს თითქოს ,
ასე გათენდა , უბრალოდ , თითქოს .

ასე ჩემად

ალბათ მართლა წავიდა -
სიყვარულს რომ დამპირდა ,
ის სიტყვები გაფრინდა ,
ბევრი წლები გავიდა .

ამ გულიდან აფრინდა ,
სითბო , თბილი , გაცივდა ...
სიყვარული რად მინდა ?!
გული ისევ დაბინდა ...

ჩემთან აღარ დაბრუნდა ,
ბედსაც ალბათ დანებდა ,
სევდა უმალ განელდა ,
ყველაფერი გაფრინდა !

გ ა ნ შ ო ბ რ ე ზ ა

შორს მიმავალი , განშორების ცრემლი მდიოდა ...
ნეტავ იცოდე , ეს ყველაფერი როგორ მტკიოდა !
ჩვენი შეხვედრა ნეტავ კიდევ როდის იქნება ?!
ამ დაკარგული წლების ნაცვლად დარდი მრჩებოდა !

იქნებ დაფიქრდე , მარტოობისთვის რომ არ გამწირო ,
ამ დაკარგული წლების ნაცვლად , მინდა ვიტირო !
რომ მოგეჩვიე ასე მარტომ რა გავაკეთო ...
ლანდშიც არა ხარ , შენთან ერთად რომ დავიძინო !

რა არ ვიფიქრე , რა განსაცდელი გამოვიარე ,
ასე უღმერთოდ მარტოობისთვის რატომ გამწირე ,
შენთან მომსვლელი არც-ერთი გზა არ დამიტოვე !
ისიც ობოლი ! სიცივისთვის რად გამიმეტე ?!

რატომ ? სად არის , ის სიყვარული რატომ დაკარგე ?!
ასე უჩუმრად ყველაფერი რომ მიატოვე ?!
ქარს გაატანე , ცეცხლში დაფერფლე , ეს ყოველივე !
ნუთუ ასეთი , ცხოვრებაში რა ჩავიდინე ?!

წუთით შეჩერდი! ერთი სიტყვით, ჩუმად მითხარი!

ამ ქარიშხალში , დამნაშვე რომ არ ვიქნები ,
შორს მიმავალი , ასე ტანჯვით , რომ მომექეცი !
გაბრწყინებული , ის სიყვარული რად მომიკალი ?!

რა იქნებოდა , სხვის სიყვარულში არ გაგეცვალე ?!
მაგრამ ასეა ! ხელის გულზე მე ვერ გატარე ...
შენი თვალები , იმ ძველ თვალებს , ვერ მივადარე !
გრძნობით ნათქვამი , მიყვარხარო რად დამიკარგე !

ჩუმად მოვედი , შენს სიახლოვეს ჩუმად გიყურე !
ასე ლამაზად , როგორ ბრწყინავდი ჩემო სიცოცხლე !
ჩემგან გაფრინდი , ჩემი გული თან გაიყოლე ...
დაგელოდები , იქნებ ჩემთან ისევ დაბრუნდე !!!

დეკლარი

აჰა , უჯავშნო გულის ფიცარი ,
მოდის , მესროლე მწარედ ისარი ,
უკანასკნელად ოღონდ მითხარი-
რისთვის მიმეტებ ! რისთვის მშორდები ,

მითხარ ! ენითაც განვიგმირები ,
მძიმე წამებას დაველოდები ,
მხოლოდ ვიცოდე რას ვეწირები ,
ერთ წუთს , იცოდე არ დავფიქრდები ,

ერთხელ მოსული , შენთვის მოვკვდები ,
ამ სიყვარულსაც შევეწირები ,
ტყუილ-ნარევი მწარე სიტყვები ,
ასე უბრალოდ რად ვიწირები ,

გაორებული გემშვიდობები ,
მე ხომ შენთვის ვარ , შენთვის ვისჯები ,
ასე დუმილით რისთვის ჩუმდები ?!
მაშინ მესროლე , ნუ დავფიქრდები !!!

ვერ შევარჩევ

იცი ?! სიყვარულს ისევ დავმაღავ ,
გულში ცრემლებით აღარ დავნამავ ,
ჩემში დარჩენილს როგორ დავტანჯავ ,
ამ სათნოებას , სხვას ვერ გავატან !

ამას უთქმელად ჩემში დავტოვებ ,
ალ ანთებულსაც ნუ მიმატოვებ ,
შენს მონატრებას ალბათ გავუძლებ ,
მაგრამ ქარიშხალს ვერ შევაჩერებ !



და თუ , უბრალოდ არ დამამშვიდებ ,
დარდსაც , სევდასაც ნუ შეამატებ ,
ცრემლებით თვალებს ვიცი ამივსებ ,
დამლა დადებულს ნუ დამივიწყებ ...

ღრუბლებთან

ღრუბლებთან ერთად მინავარდია ,
ცხოვრების გული გადამიხსნია ,
რამდენი რამე გამხსენებია ,
ოცნების ფრთები რომ გამომსხმია !

მოდრუბლულ ცაშიც ამიხედია ,
გულს რომ , უბრალოდ გასჭირვებია ,
მაშინ ხმამაღლა დამიყვირია ,
ღრუბლებსაც , სეტყვა გამოუშვია ...

ცაში ახედვა რად მეშინია ?!
იქ რა დამხვდება , ვერ გამიგია !
გულზე სევდას რომ უბატონია ,
ზოგჯერ , ღრუბლებიც არ დამხვედრია .



რატომ ველოდი

მე რომ გნატრობდი , რატომ არ მოდი ?!
ყველგან გეძებდი , არსად არ ჩანდი ...
რა დავაშავე , ან რას მერჩოდი ?!
ამდენი ხანი ფუჭად გელოდი ...

იქნებ სხვისი ხარ ?! რადგან არ მოდი ,
სხვის სიყვარულში აღარ გახსოვდი !
რატომ მეგონა რომ მე მნატრობდი ,
თურმე შენ სხვასთან დანავარდობდი ...

გაქრა , წავიდა ჩემგანაც დარდი ,
აღარ გელოდი , აღარ გდარდობდი ,
უკვე სხვისი ხარ , ჩემგან რომ წადი ,
მეც თურმე გულით აღარ გნატრობდი .

შვიდობით

მდინარეს მიაქვს ხე და ლოდები ,
მის ნაპირებზე ვერ გელოდები !
ალბათ გულისხმას აღარ ავყვები !
ჩემს სიყვარულსაც ნუ ელოდები !

აქ არ ყოფილა შენთვის ედემი ,
არც წყარო , თურმე მამშვიდებელი
სიოც არა ჰქრის , გამცილებელი ,
სხივი არსად სჩანს , გამბრწყინებელი ...

ირგვლივ ქარია , დაუნდობელი ,
სადღაც ახლოში ყინვის ლოდები ,
უფოთლო ტყეში ეკალ-ბარდები ,
ბილიკიც შეწყდა , შენთან მომსვლელი ...

გულმა დაკეტა შენთვის კარები ,
ფიქრმა გააქრო მოგონებები ,
ალბათ არასდროს დამავიწყდები ,
როგორ ჩააქრე ჩემში სხივები ...

არ დაიჯერო

არ დაიჯერო არც ერთი სიტყვა !
შენ აღარა ხარ ის ჩემი მუზა !
და გულდამწვარი ვითომ და გრძნობა -
იმ ტყუილების , ის სავსე გუდა ...

მე აღარ მჯერა არც ერთი სიტყვა ,
არაფრის მთქმელი , მდუმარე სევდა ,
თვით მოგონილი ფიქრების ნდობა ,
ტყუილნარევი , ვითომ და , ლტოლვა ...

ცას ემატება რუხი ღრუბლები ,
მთებზე გაყინა მყინვარწვერები ,
ჭაობს ემატა მუქი ფერები ,
ქარს ვერ აჩერებს უკვე ხეები ...

შენ ხომ სხვა გზა გაქვს , აზრი , ფიქრები ?!
წყალს გაატანე ჩემი სიტყვები ,
მე დამრჩა მხოლოდ მოგონებები ,
ის , გაყინული , შენზე ფიქრები ...

უსიყვარულოდ

ცოტა მაინც გყვარებოდი ,
აღარ დავიტანჯებოდი ,
მე სიყვარულს გპირდებოდი ,
საერთოდ არ მიყურებდი ...

როცა მე ვიტანჯებოდი ,
ცხოვრებასაც ხომ მინგრევდი ,
არაფერს რომ არ ინდობდი ,
სიხარულსაც მიწამლავდი ...

ყველაფერზე რომ ღელავდი ,
შენი სიტყვით გულს მიკლავდი ,
არასოდეს არ მდარდობდი ,
რა თქმა უნდა , არ გიყვარდი ...

როცა ჩემზე ბატონობდი ,
რატომ მაშინ არ დამშორდი ?!
შენს თავსაც ხომ უშველიდი ?!
რა გინდოდა რას მერჩოდი ?!


ქ ა ნ ჯ რ ა

სიყვარულში რად დამჩაგრე ?!
რას მერჩოდი რომ დამტანჯე ,
სიყვარული მომანატრე ,
გული სევდით დამიტანჯე ...

სადარდელი მომიმატე ,
ცეცხლი ცოცხლად მომივიდე ,
თვალზე ცრემლი არ შემაშვრე ,
მონატრება დამიკარგე ...

ტანჯვა რატომ გამიახლე ?!
ფიქრი , გრძნობა - გამიმწარე ,
სიხარული გამიქარწყლე ,
მიწა გულზე დამაყარე ...

სიყვარულში რად გამცვალე ?!
ვის გრძნობაში გადამცვალე ?!
ჩემში შუქი ხომ ჩააქვრე ?!
სიკვდილიც რომ მომანატრე ?!



სული ტანჯვით ამომხადე ,
გული კენტად დამიტოვე ,
გრძნობა ფეხით გამითელე ,
არაფერი არ დატოვე ...

რად დამცინი, მოღალატე !
გული ჩემი ხომ დატანჯე ,
სიყვარულში არ დამინდე ,
ასე მაინც შემიბრალე !

შენი ფიქრობის , მტანჯველი - მე ვარ !
გულის გოდება , ისიც ხომ მე ვარ !
ამ ქვეყნიური , ამბოხი მე ვარ !

არა , არ გინდა სიტყვების ხროვა !
ნუ დააგროვე კომმარში ბრძოლა !
სიყვარულშიც კი არ ვარგა ნდობა ...
სილამაზესაც არა აქვს გრძნობა .

მართლა , მინდოდა ოდესმე ნდობა ,
ვერ გაამართლე , უბრალოდ , გრძნობა !
ბრმა სიყვარულით , გინდოდა ყოფნა ,
ასე დაყარე ფარ-ხმალის ბრძოლა .

ოდეს, რკინისა

უკვე აფეთქდა უტეველი სევდა , მალული ,
ვეღარ აჩერებს სისხლიანი გულის კედელი ...
მაღლა მიიწევს ვულკანივით ადუღებული -
ფერფლად აქცია , დაუწველი , დროის სათქმელი ...

დიდხანს ილექა , დაგროვილი ენით უთქმელი ,
გააპო გული , ჯაჭვ - მოხვეული , დაუნდობელი ...
კვალი არ დარჩა , სადაც იყო შეგროვებული ,
სალი კლდესავით , ჩამოიშალა ის დანგრეული ...

აღარ აშენდა , ამ ნანგრევებზე გრძნობის კედელი ,
ოდეს რკინისა , გაუტეხელი დარჩა ეული ...
ხავსიც არა აქვს , რომ მოეჭიდოს , არის სნეული ,
ნუთუ ჩამოდნა , რკინის გული , მიტოვებული ?!

დრო და დრო

ოდესღაც მომიგონებენ-
ჩემგან ნათქვამი ლექსები ,
თვალთ რომ ვერ მომიპოვებენ-
ვერ დამინახავს ფურცლები ,

ფიქრად შეიქმნენ ისინი ,
ის წიგნად აკინძულები ,
ერთხმად არიან შეკრული ,
ობლადა დატოვილები ,

ვიცი ! იქნებით ჰანგები ,
ბევრისთვის გულის ნადები ,
როცა გადაგშლით მკითხველი ,
მაშინ გახდებით ნაქები ,

კითხვის დროს , ცრემლი ნადენი ,
თუნდ სევდიანი აზრები ,
დრო და დრო გამოთქმულები ,
ეს ჩემი სულის სათქმელი !!!

შეფასება

პოეტ, დავით კუჭუხიძის შემოქმედება სავსეა მრავალფეროვანი თემატიკით. განსაკუთრებით გამოიკვეთება პატრიოტული ლექსები, რომელშიც ჩანს ღირსეული გმირის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოს მიმართ. მისთვის სამშობლო არის წარსული, აწმყო და მომავალი. ეს სამი დრო როგორც სამება გაერთიანებულია ერთ არსში, სამშობლოს სიყვარულში. ლექსი „ერთი ხარ, ერთი“ ამის ნათელი დადასტურებაა:

*„წმინდა ნინომაც შეგახო ხელი
და მან მონათლა ქართველი ერი
ამ სამყაროში ერთი ხარ, ერთი
სადაც ღმერთია მფარველი ჩვენი“*

პოეტი ხშირად წყდება რეალობას და დავითისა და თამარის ეპოქასაც შეაფარებს ხოლმე თავს... ლექსი „დავითის გზა“, „კარიბჭე“, „გამარჯვება“, „სავანეთი“, „ერთად-ერთს“, „იქნებ შეჩერდე“ ამის ნათელი დადასტურებაა.

*„სამშობლო ერის სიამაყე
თავის წარსულით ის განთქმულია
დიდთა მეფეთა სავანეთია
მისი სახელი ხომ უკვდავია“*

ლექსი „იქნებ შეჩერდე“ პოეტი შეტრფის დიდ თამარს, მასში უდიდესი ნოსტალგიაა თამარის ეპოქის მიმართ.

*„იქნებ შეჩერდე! ცოტახანი, იქნებ დაგხატო!
ამ სასწაულში სახსოვარი რომ დამიტოვო...
შენს სილამაზეს თაყვანი ვცე, თავი დავხარო,*

ნება მომეცი, სიყვარულით რომ გეამბორო !!!

როგორი სიყვარულით, სათნოებით მოიხსენიებს, თამარს, ამ ულამაზეს მეფე-დედოფალს პოეტი და ყველა ქართველ ქალში ხედავს მის სილამაზეს: ლექსში „ერთად-ერთს“

„ქალი თამარი სხვაგან სად არი ?!

ამ სილამაზით კალმით ნახატი ?!

შენს სახელს ბევრი ატარებს ქალი ,

როცა დატოვებ უკვდავი ხატი !!! “

პოეტ დავით კუჭუხიძის პოეზიაში სამშობლოს სიყვარული ჰარმონიულად შერწყმულია რწმენისა და ენის სიყვარულთან.

ლექსი „მეტეხის ხიდი“, „ენა ქართული“, „ვაზის ფესვებო“, „აფხაზეთო“, „გმირი“, „დიდება“, „საქართველო“, „კახეთო“, „არაგვო“ სწორედ ამ სამი ღვთაებრივი საუნჯის საგალობელი ლექსებია.

„ნარიყალას და მეტეხის ხიდო!

მამა დავითის, ტამარო მშვიდო!

მტკვარო! მდიდარო, არაგვის წყლითო!

ჩემო თბილისო! დიდი გაქვს სითბო!“

ლექსი „ენა ქართულო“ ჰიმნია ქართული ენისა.

„ენა ქართულო, ქვეყნად განთქმულო!

ამ სამყაროში გამორჩეულო!

ოქროს ძაფებით ამოქარგულო!

ჩემო მიწავ და ჩემო მამულო“

ლექსში „ვაზის ფესვებო“, პოეტი უმღერის ვაზს, ქართველთა

გადამრჩენელს, რომელშიც ჩვენი ერის სულიერ ძალას ხედავს.

*„ღვინო, ნატურო! დიდყანწით ხელში
სადღეგრძელოა, დიდების ხმაში ...
მრავალჟამიერ! გაისმის ცაში,
ვაზო! გამრავლდი მთასა და ბარში !!!“*

თემა, რომელიც მამულს ენასა და რწმენას ეხება საგალობელ-სავედრებელი ლექსებია, რომელშიც ლირიკული გმირი ქედმოდრეკილი და მუხლმოდრეკილი ლოცულობს სამშობლოს და ერის გადარჩენისთვის.

*„ყველა ფიქრი სევდად მექცა
იმ წარსულის დიდებისა,
ჩვენი წყალი ჩვენი მიწა
მცხეთის გულში დალოცვილა!“*

დავითს შეუხორცებელ ნაიარევად დარჩა აფხაზეთი. მისი დედის დედულეთი აფხაზეთშია. აფხაზეთის ომმა პოეტის ოჯახის წევრების გულის სიღრმეში გაიარა და მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა.

დედა დავითისა, ქალბატონი ლიანა ოდიშვილი თავად შემოქმედი, მეზრდოლი სულისკვეთების ადამიანია, საქართველოს შეიარაღებული ძალების „მაიორია“ აფხაზეთის ომის ვეტერანი, რომელიც დაჯილდოვებულია უმაღლესი „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდერით“ რომელსაც აქვს უამრავი წიგნი გამოცემული.

ამდენად, გასაოცარი არ უნდა იყოს პოეტ დავითის

შემოქმედებაში ეს თემა მტკივნეულ და მკვეთრ ხაზად რომ შემოდის.

*„ისევ აღსდგები, გულში დაჭრილო!
არ მიგატოვებთ, ნაიარევო!
დიდო ზღვის პირო, მხარეო, ჩვენო!
სიცოცხლის დედავ, შენ, აფხაზეთო!“*

პოეტი ლექსში „გმირი“ სამშობლოსათვის ზვარად შეწირულთ დიდების შარავანდედს მოსავს, ხოლო იღბლად გადარჩენილთ, რომელთა შორისაც დედასაც მოიაზრებს.

*„ომიდან დაბრუნებულო,
ცხოვრებით გაორებულო,
თოფის ხმით გაბრუებულო,
ჭრილობით შეხორცებულო ...“*

პოეტის შემოქმედებაში შეხვდებით სიყვარულის თემაზე, შექმნილ ლექსებს, უსიყვარულოდ ხომ შეუძლებელია რაიმეს შექმნა?!

*„როგორ მინდა რომ შენ თვალწინ
სანთელივით დავიღვენთო,
ამ ნაღვენთში სიყვარული
დიდი გრძნობით წაიკითხო!“*

ბუნება განუყოფელია პოეტისთვის. შეტრფის მთებს, მდინარეებს, ველ-მინდვრებს, „კვამლის კოშკებს“ ბუნებაში ჰარმონიულად შერწყმული ციხე-ტაძრებს, ტყეს, მოხუც მუხას, ვაზს რომელშიც ქართველთა სულის ძალას ხედავს. ლექსები „მარტოობაში“, „ზურმუხტის მთები“, „გაზაფხული“, „ზამთარი“ სწორედ პოეტი, ბუნებასთან სიახლოვეს გამოხატავს

სიყვარულით.

*„დიდი ფესვებით გადაშლილი იყო ძლიერი!
დატოტვილიყო სიძლიერით, ბევრად რჩეული,
ეს საუკუნე მისთვის იყო წუთი ყოველი,
არა და მასში იგრძნობოდა დარდი სწეული“ ...*

დავითის ლექსებში ბუნება გასულიერებულია, ლექსში „ზურმუხტის მთებში“ სამშობლოს დედაბუნების მცველებს ხედავს.

*„ეს დიდი მთები, ბუნების მცველი,
სადარაჯოზე ირმის გუნდები ...
არწივმა ისევ გაშალა ფრთები ,
ნაკადულებმაც იკვალა გზები“ ...*

პოეტისთვის ზამთარი, და სიცივე ფოთოლმცვენელია. ლექსში „ზამთარი“. გამოხატავს დავითისთვის ერთფეროვნებას

*„ცაზე გუგუნებს ზამთრის ღრუბლები
ყინვის სუსხია, ფოთოლ-მცვენელი ...
ირგვლივ დათოვა მთები, ველები,
უფერულია მისი თვეები“ ...*

ლექსი „წყალო უკვდავებო“ თითქოს ვაჟას მთისწყაროსთან, ყველას მაგივრად ქედმოდრეკას და მადლიერებას გამოხატავს პოეტის მხრიდან :

*„ღმერთისგან დალოცვილი ხარ,
უფლისგან წმინდად ნაკურთხი,
ხან მთიდან მორაკრაკე ხარ,
დიდ ზღვაში აღელვებული“ ...*

დავით კუჭუხიძეს აქვს ლექსები, რომელშიც იკვეთება მისი საზრისი ადამიანის არსობისა, დროის წარმავლობისა, ლექსები „მიძინებული გული“ „ჩოხის კალთა“ „ისევ გარბიან“ „გაზაფხულის წვიმა“ სწორედ პოეტის სულიერი პორტრეტის ამ შტრიხს გამოხატავს: ლექსი „მიძინებული გული“ ფიქრია შექიდებული წარმავალ დროსთან.

*„ვაი, რომ დავბერებულვარ,
მართლაც, რომ გავთეთრებულვარ,
დარდსაც რომ შევულახივარ,
წლებსაც კი შევუნახივარ“ ...*

ლექსი „ჩოხის კალთა“ ერთგვარი ხაზია პოეტის ეროვნული სულისკვეთების: მის სულიერებას, სწორედაც რომ გმირ წინაპართა ჩოხა ამშვენებს სამოსად.

*„ეჰ, სიბერეში შესული,
წვერ-ულვაშ გათეთრებული,
წავა-წამოვა ფიქრები,
ხანჯალზე ხელ-დადებული“ ...*

ლექსი „ისევ გარბიან“ შებრძოლებათაა წარმავალ წუთისოფელთან, შემოქმედი ადამიანი რომ ვერ ეგუება დასაზღვრულ დროსა და სივრცეს.

*„ისევ გარბიან წუთი-წამები,
ფაფარაშლილი თეთრი ცხენები,
ველარ ვეწევი და ვერც ვჩერდები ...
ეჰ, სიცოცხლისგან დარჩა წამები!“*

ბატონმა დავითმა, იმ ადამიანების გულშიც ჩაიხედა რომლებმაც ნებით თუ უნებლიეთ დაანგრეს და წყალს

გაატანეს თავისი ცხოვრება . შვებას ღვინოში და თამბაქოში რომ
ემებენ : ლექსში „ საით წავიდე“ და „ გაორებული “

*„ შენთან მოვედი , მაგრამ უკვე აღარ მიმიღე,
დიდი ყანწებით , ფიალებით , კელარ ვიარე ...
მაშინ ვიფიქრე , ცხოვრებაში რა გავაკეთე ?!
რომელ ბილიკზე , ან რა გზაზე , როგორ ვიარე?! “*

ეს ამ სიტყვების ნათელი დასტურია !

*„ ღვინოში-სევდით გაგიყვებული ,
შენს სიყვარულში-ჩაფიქრებული ,
ღვინის სურნელში-გარინდებული ,
თამბაქოს კავამლოში-სულ არეული. “*

აქ, ამ შემოქმედებაში, იმასაც ვაწყდებით, რომ პოეტს
მკაცრად აქვს აღწერილი, უიღბლო სიყვარული და ღალატი, თუ
უბრალოდ გაციებული გრძნობები, ლექსად ნათქვამი: ლექსებში
„ რატომ გელოდი “ , „ ტანჯვა “ , „ კოშმარი “ , „ უსიყვარულოდ “ ,
„ არ დაიჯერო “ , „ მშვიდობით “ და „ ოდეს რკინისა “

*„ არ დაიჯერო არცერთი სიტყვა !
შენ აღარახარ ის ჩემი მუზა !
და გულდამწვარი ვითომ და გრძნობა
იმ ტყუილების , ის სავსე გუდა ! “*

რთულია რაიმეს თქმა, ეს ხომ ცხოვრებისეულია ...

*„ არა , არ გინდა სიტყვების ხროვა !
ნუ დაავროვე კოშმარში ბრძოლა !
სიყვარულშიც კი არ ვარგა ნდობა ...
სილამაზესაც არააქვს გრძნობა “ .*

და ასე ამთავრებს პოეტი ამ რთულ, სიყვარულზე სიტყვებს:

„ რად დამცინი , მოღალატე !

გული ჩემი ხომ დატანჯე ,

სიყვარულში არ დამინდე ,

ასე მაინც შემიბრალე ! “

მინდა ვთქვა, რომ რთული აღმოჩნდა ყველა ლექსის გადმოტანა და გაშიფვრა ჩემს მიერ დაწერილ შეფასებაში, იმდენად ძლიერია თითოეული ლექსი, რომ მინდოდა კრიტიკულად მივდგომოდი მათ, მაგრამ არ გიშვებს ლექსი იქამდე, რომ რაღაც კრიტიკა დაინახო და გამოთქვა . ზედმიწევნით თითოეულ ლექსში აზრია ჩამოყალიბებული, ზუსტად ამბობს პოეტი რისი თქმაც უნდა. ლამაზათ აქვს გადატანილი ყველა სიტყვა რითმით. ამას მკითხველი იგრძნობს და როდესაც ჩაუღრმავდება აღმოაჩენს თავის წარსულს თუ მომავალს, ამ ლექსებში ის მაშინ იპოვის თავის ბედნიერებას. პოეტსაც ხომ ესააქვს ჩაფიქრებული, რომ ყველა ადამიანს აგრძნობინოს თავი ბედნიერად, გაახსენოს წარსული ცხოვრება და იმედი გაუჩინოს მომავლისკენ .

დავით კუჭუხიძე სამხედრო პიროვნებაა შეიარაღებული ძალების „ კაპიტანი “ პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი , სულით პოეტი და ლიტერატორი. მასში ღრმადაა გამჯდარი მამული, ენა და სარწმუნოების სიყვარული .

ამდენად, მისი პოეზიის გაცნობისას მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ პოეზიას, მამულის სიყვარულს განსაკუთრებული პროფესია არ სჭირდება. პოეზიას უნდა მართული სიტყვა, განწმენდილი სული-გული და სიყვარული .

*ფილოლოგი, პოეტი და კრიტიკოსი
ქალბატონი მაცვალა გერმანოზაშვილი*

28.07.2016



Երկրորդ

ერთი ხარ, ერთი	5
ენა ქართული	6
კარიბჭე	7
მარადიული	9
საქართველო	11
აფხაზეთო	13
სამშობლოს	15
მზე, ჩვენი ქვეყნისა	16
სავანეთი	18
დიდება	19
დავითის გზა	21
გამარჯვება „1121 წელი“	22
მეფე ქართველთა	24
ერთად-ერთს	25
იქნებ შეჩერდე	26
კახეთო	27
სიმშვიდე	29
მეტეხის ხიდი	31
ჩემი ტაძარი	32
ფერიცვალება	33
წყალო, უკვდავებო	34
სულს რომ უჭირდა	36
დედას	37
მხოლოდ ერთს	38
ემირი	40
ჩემო კალამო	42
ყალიონი	43
მარტო ეული	45
მარტოობაში	46
ვაზის ფესვებო	47
არწივი	49
არაგვო	50
ნისლებო	51
ზამთარი	52
წლის დროება	53

ვერ მივაღარე	55
თერგი	56
ჭადრები	57
ზურმუხტის მთები	58
* * *	59
ჭირნახული	61
ჩოხის კალთა	62
მიძინებული გული	63
სიჭაბუკე	64
ისვე გარბიან	65
სიამაყე	66
გაზაფხულის წვიმა	67
ვარსკვლავებად	68
8 მარტი	70
გაზაფხული	71
თოლია	72
ახალი წლის ღამეს	73
ო, რა ტკბილია	74
სიკეთე	75
მარტი	76
მაისობა ქუთაისში	78
შენვედრა ბელთან	81
როცა ვიყვარს	82
ფერები	83
აისი	84
ბულბული და იაღონი	85
ვარლობის თვეში	86
ღამე	87
ჩავიკონო	88
ამ სამყაროში	89
მონატრება	90
ღამის ცა	91
ტრფიალი	92
მოგონება	93
მას შემდეგ ვეძებ	94

შენი რჩეული	95
ოღესძე გეტყვი	96
ჩემი შუქი	97
ნუთუ ღაგარგე	98
ვარსკვლავთა ცვენა	99
ნაძლადევად	100
საით წავიდე	102
იქნებ	103
ნაფეხურები	104
მგლის ბილიკები	105
ნუ დამიშლი	106
ნუ დამშორდები	108
საყვედური	109
გაორებული	110
მიტოვებული	111
ნეტარება	112
განუყოფელი	113
წყვდიადი	114
ასე ჩუმად	115
განშორება	116
ღუმილი	118
ვერ შევაჩერებ	119
ღრუბლებთან	120
რატომ გელოდი	122
მშვიდობით	123
არ დაიჯერო	124
უსიყვარულოდ	125
ტანჯვა	126
კოშმარი	128
ოღეს, რკინისა	129
ღრო და ღრო	130

დაბეჭდილია შპს „დეკაპრინტი“